საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ოთხშაბათი, 26 ნოემბერი, 1919 წ.

ერთობა

ფასი 2 მანეთი

გაზეთი ღირს 1 თვით 50 მანეთი, [illegible] ყველგან 2 მანეთი, განცხადების ფასი, [illegible] გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი 3 მანეთი. სამგლოვიარო განცხადება ჩვეულებრივი ზომისა 60 მანეთი. ნისიათ განცხადებები არ დაიბეჭდება.
რედ. და კანტორის ადრესი: რუსთაველის პრ. № 24.
ტელეფონი 16—62.

№ 270 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 270

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსაზღვრო მწუხარებასა შინა მყოფი, გულმოკლული და მუდამ მტირალი დედა ალათი ლომინაძისა სიამაიშვილის ასული, დები: ანეტა, მაშო, სოფიო, მინა და ძმა ირაკლი დიმიტრის ძე ლომინაძენი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა წლის 26 ნოემბერს (ახ. სტ.) დანიშნულია ნახევარი წლის წირვა და პანაშვიდი უდროვოდ დაკარგულის ავიატორთა შტაბის სამხედრო აფიცერის

ივანე დიმიტრის ძე ლომინაძის

სულის მოსახსენებლათ სოფ. უჩხობში (ოზურგეთის მაზრა) ძლევის წმინდა გიორგის ეკლესიაში. (3085—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ბართლომე, შვილები: სოსო, ზინაიდა, კორნელი და ერან მეგრელიძეები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ 27 ნოემბერს, ხუთშაბათს, დღით გადახდილი იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ს. ქვენობნის ელია წმინდას სასაფლაოზე მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

მარო მეგრელიძის

გარდაცვალების წლის თავის აღსანიშნავათ. (3087—2—1)

ღრმად დამწუხრებული მშობლები: მამა ელიზბარ, დედა ფოტინე, ძმები: დათიკო, კონსტანტინე, რაჟდენ და დანიელ ჭანიშვილები, დები: ქეთევანა ბურჭულაძისა, ტატიანა თავბერიძისა და ქსენია ჭანიშვილი აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ამა თვის 27, ხუთშაბათს, დღითი გადახდილ იქნება სამოქალაქო პანაშვიდი ს. ქვენობნის ელია წმინდის სასაფლაოზე მათთვის ძვირფას და დაუვიწყარ

მარო მეგრელიძის

გარდაცვალების წლის თავზე (3087—2—1)

გულდათუთქულნი და სიცოცხლე მოწამლული მშობლები: დედა ლიდა ივანეს ასული და მელიტონ ივანეს ძე რამიშვილები გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი უსაყვარლესი ერთად ერთი ქალის

ქ ე თ უ შ ა ს

უდროოთ გარდაცვალებას. მიცვალებული წასვენებულია ს. სურებში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 27 ნოემბერს (3089—1—1)

ღრმად დამწუხრებულნი ნოე ივანეს ძე სახლობით, ფილიპე და ქსენია რამიშვილები აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარლის, მუდამ დაუვიწყარის, ერთად ერთი ძმისწულის

ქ ე თ უ შ ა ს

უდროოთ გარდაცვალებას. მიცვალებული წასვენებულია ს. სურებში. დაკრძალვა ხუთშაბათს, 27 ნოემბერს. (3089—1—1)

ერეთელო გიორგის ძე რამიშვილი გამოუთქმელ მწუხარებით აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი

ქეთუშა (მელიტონის ასული) **რამიშვილის**

უდროოთ გარდაცვალებას. ცხედარი წასვენებულია ს სურებში. დაკრძალვა მოხდება 27 ნოემბერს, დღითი ხუთშაბათს. (3089—1—1)

იასონ ნიკოლოზის ძე ნიჟარაძე გულითადი მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს, რომ 24 ნოემბერს, ღამით მძიმე ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი ერთად ერთი ქალი

ს ო ფ ი კ ო

პანაშვიდი და გამოსვენება ოთხშაბათს, 26 ნოემბერს, საღ. 4 ნახ. საათზე ქაშვეთის წმიდა გიორგის ეკლესიიდან სადგურზე, 8 საათის მატარებლით ქ. ქუთაისს წასასვენებლათ. პანაშვიდი ქუთაისში 27 ნოემბერს, საღ. 5 საათზე, საკუთარ ბინაზე. გამოსვენება ბინიდან—პარასკევს, 28 ნოემბერს, დილ. 10 საათზე. დაკრძალვა მოხდება იმავე დღეს სოფ. მაღლაკში. (3090—2—1)

საქართველოს ცენტრალური კოოპერატივთა კავშირის დრამატიული სტუდია.
არტისტიული საზოგადოების
თეატრი
ოთხშაბათს, გიორგობისთვის 26,
1919 წ. სალამოს 8 საათზე
ლ. ჟაკოსი.
ვითა ფოთლები
პიესა 4 მოქმედებად.
რეჟისორი გ. ჯაბადარი.
პიესის გამძღოლი შ. ბერიშვილი.
ანონსი. ოთხშაბათს 3 დეკემბერს,
შალვა შარაშიძე.
„ავგაროზი"
ზღაპარი 4 მოქმედ.
(6. 2—2) მეორე ზარის შემდეგ დარბაზში არავინ შეიშვება.

დაიბეჭდა და იყიდება
საქართველოს პროფესიონალურ კავშირთა
პირველი ყრილობის ოქმები
წიგნი შეიცავს 80 გვერდს და ღირს 15 მანეთი.
დაკვეთა შეიძლება მხოლოდ საქ. პროფ. კავ. ცენტ. საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში. ტფილისი, რუსთაველის პრ., № 17, არამიანცის სახლი, მეორე სართული, ოთახი № 28. (უფ 3—1)

ბათუმის გარშემო

ახლო მომავალში ორი წელი სრულდება, რაც საქართველოს ხელიდან გამოგლიჯეს ბათუმი, ერთად ერთი მნიშვნელოვანი ნავთსაყუდელი და ღია კარი ევროპის კულტურისაკენ. ოსმალეთის დესპოტიზმმა, როგორც მოსალოდნელი იყო, ფეხქვეშ გასთელა საქართველოს სასიცოცხლო ინტერესები და რევოლიუციის აკვანი ფაშა ბეგების სათარეშო მოედნად გადააქცია. მარა ხანმოკლე გამოდგა ოსმალთა ბატონობა საქართველოს ნავთსაყუდელში. ის, ვინც წინეთ მთელი კავკასიის დაპყრობაზე ოცნებობდა, სულს ღაფავს და ამაოდ ცდილობს თუნდაც ძველი თავისი საზღვრების ხელუხლებლობის დაცვას. მოკავშირეთა გამარჯვებისთანავე ბათუმს ინგლისი დაეპატრონა.

მარა ამით ბათუმისა და მთელი საქართველოს ტრაგედია როდი დამთავრდა. ინგლისის სარდალთა მფარველობის ქვეშ ბათუმის ოლქში გენ. დენიკინის აგენტებმა მოიკალათეს, რომ ამ გზით საქართველოს ზღვა ჩაუკეტონ და ის შიმშილით დაიმორჩილონ. ასეთია ჩრდილოეთის რეაქციის მესვეურთა მთავარი მიზანი.

არა ერთხელ ცდილა საქართველოს მთავრობა ბათუმის საკითხის ხალხის ინტერესთა მიხედვით გადაჭრას. არა ერთი და ორი ნაბიჯი გადაუდგამს მას ინგლისის ოფიციალურ წარმომადგენელთა წინაშე. მარა ბათუმის ბედი ჯერ კიდევ ბურუსით არის მოცული. მართალია უკანასკნელ დროს ინგლისის წარმომადგენელთა და გენ. დენიკინის აგენტთა შორის ურთიერთობა თითქოს გამწვავდა, უკანასკნელთ ზოგიერთ საპასუხისმგებლო ადგილებიდან ერეკებიან, მარა ეს არსებითად მდგომარეობას არ სცვლის, ვინაიდან ჩვენ ჯერ კარგათ არ ვიცით, რას ელტვიან ინგლისის წარმომადგენელნი ბათუმის ოლქში.

უკანასკნელ დღეებში გენ. კუკოლისის ბრძანებით დაითხოვეს ქალაქის საბჭო, რომელიც ფაქტიურათ დენიკინის აგენტთა ხელთ იყო და მათ გეგმას ასრულებდა საბჭოს მეოხებით რეაქცია მთელ ოლქს დაეპატრონა, გენერალთა და ძველ მოხელეთა ნება-სურვილები ხალხის სახელით მონათლა და ამ გზით გადაჭრით ებრძოდა საქართველოს გავლენის ზრდას ჩვენს ნავთსაყუდელსა და მის არემარეში. მთელი საქართველო სიამოვნებით შეეგებება ამ ცნობას. ეჭვს გარეშეა, ინგლისის სარდლობა თუნდაც დაგვიანებით იძულებული ხდება კბილები გაუსინჯოს შავი გენერლის აგენტთა საქმიანობას სამაჰმადიანო საქართველოში და მათ მადას ფრთა შეაკვეცოს.

მაგრამ ეს როდი მოასწავებს ბათუმის ბედის გადაჭრას. ძველი საბჭო გარეკეს, მარა არავინ იცის როგორი იქნება ქალაქის ახალი საბჭო. დენიკინელთა ბატონობისას ბათუმი რეაქციონერთა სათარეშო ასპარეზი შეიქნა. აქ თავს იყრიდნენ ოფიცრები მოხალისეთა ბანაკიდან და ლტოლვილნი საქართველოს მოწინააღმდეგე სხვადასხვა კუთხიდან. ოლქში ქართველობას დევნიდენ, რომ მათი ადგილი ჩვენი დამოუკიდებლობის სხვადასხვა ჯურის მოწინააღმდეგეებს დაუთმონ. ამის გამო ბათუმმა ქართული ელფერი დაჰკარგა. მიეცით საარჩევნო უფლება ბათუმში ამ ჟამათ თავმოყრილ უცხოელთ და სხვადასხვა ჯურის რეაქციონერთ, და ეჭვს გარეშეა ახალი საბჭო საქართველოს საწინააღმდეგო მოძრაობის მეთაური გახდება და ჩვენი დემოკრატიის იდეალთა წინააღმდეგ დაირაზმება.

ასეთ მდგომარეობას საქართველო რასაკვირველია ვერ შეურიგდება. ბათუმი აკვანია ჩვენი რევოლიუციის, ის ერთად ერთი გზაა ევროპისაკენ, ის ბურჯია ჩვენი კულტურისა და განვითარების. ამიტომაც საქართველო იარსებებს ბათუმის ოლქის შემოერთებით ან ის ვერ იარსებებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო.

ჩვენ არ ვიცით ინგლისის გეგმა ამ საკითხის გადაჭრის საქმეში ერთი კი ეჭვს გარეშეა. დღემდის ეს იყო პოლიტიკა რყევისა. მარა ამ რყევაშიაც ერთი აშკარათ მოსჩანდა—პოლიტიკა არსებითად მიმართული იყო საქართველოს საარსებო ინტერესების წინააღმდეგ. ამ პოლიტიკამ ვერავინ დააკმაყოფილა: ვერც დენიკინელთა გული მოიგო და მით უფრო საქართველო აიმხედრა და ჩვენს დემოკრატიას მრავალი მწვავე ფიქრები აღუძრა.

დროა ამ რყევას ბოლო მოეღოს. ორში ერთი: ან საჭიროა ძველი დიდი რუსეთის აღდგენა და ამ შემთხვევაში ბათუმის მისთვის გადაცემა, არა და საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარება და ბათუმის მისთვის ჩაბარება. პირველი გზა ფუჭი ოცნებაა. რაშიაც თვით ინგლისის მმართველი წრეები დარწმუნდენ. ლოიდ ჯორჯმა მკაფიოთ გამოსთქვა, რომ შეუძლებელია რუსეთში სამოქალაქო ომის გარეშე ძალის ჩარევით მოსპობა. დაგვრჩა ერთად ერთი გზა. ეს არის საქართველოს სუვერენულ უფლებათა აღიარება და მისთვის დაბრუნება სამაჰმადიანო საქართველოსი, რაც ჩვენ ოსმალთა ხმალმა მოგვგლიჯა.

ადრე თუ გვიან ინგლისის მთავრობამ ეს ერთად ერთი გზა უნდა აირჩიოს. რყევის პოლიტიკას ბოლო უნდა მოეღოს.

ბათუმი ჩვენია. მას ვერავინ წაგვართმევს.

ხელფასის გადიდება

მუშათა მდგომარეობა პირდაპირ კატასტროფიულ ხასიათს იღებს. ცხოვრების გაძვირება საზღაპრო სისწრაფით ვითარდება. ხელფასის ნომინალური გადიდება ოდნავ ვერ გაჰყვა მის რეალურ ღირებულებას. ეს ქმნის მუშათა ბიუჯეტში ქრონიკულ დეფიციტს, რომლის დაფარვა შეუძლებელი გახდა. ამან შექმნა ის კრიტიკული მდგომარეობა, რომელშიდაც მოჰყვა ჩვენი მუშათა კლასი. მართალია ხელფასი საგრძნობლად გადიდდა, მაგრამ, როგორც ვთქვით, ის ვერ დაეწია ცხოვრების გაძვირებას, რადგან ის თავის მხრით იწვევდა გაძვირების კიდევ უფრო მეტ ზრდას. შრომის სამინისტროსთან არსებული სტატისტიკური განყოფილების გამოკვლევით მაშინ, როცა ცხოვრება 80 ჯერ მეტათ გაძვირდა, ხელფასი მხოლოდ 21 ჯერ გადიდდა. ასე რომ მუშის მდგომარეობა შედარებით 1914 წელთან ოთხჯერ უფრო გაუარესდა.

დამტკიცებულია, რომ მიუხედავად გადიდებული ხელფასისა, მუშას შეუძლია თავის ჯამაგირით შეიძინოს დღეს სამჯერ ნაკლები, ვინემ ეს საჭიროა მისი ფიზიოლოგიური არსებობისათვის.

მუშათა ფიზიკური განადგურებისაგან გადასარჩენად შრომის სამინისტრომ გარდა ხელფასის გადიდებისა გადადგა მეორე ნაბიჯი. ეს იყო 50 მილიონის გადადება მთავრობის განკარგულებაში მუშა მოსამსახურეთათვის პირველი მოთხოვნილების საქონლის შესაძენად.

დამფუძნებელ კრებამ ეს თანხა უკვე გადასდო, მაგრამ გამოირკვა, რომ ამ დეკრეტის შემდეგ ცხოვრება 39,3 ჯერ კიდევ გაძვირებულა, ხელფასი კი წინანდელი დარჩა. ამიტომ, რაც უნდა ხელსაყრელ ფასებში მიაწოდონ საქონელი—ისინი მაინც მოკლებული არიან საშუალებას ის შეიძინონ. განსაკუთრებით დღეს, როცა ზამთარმა უკვე ტახტი დაიდგა. ზამთარი ითხოვს განსაკუთრებულ ყურადღებას, განსაკუთრებულ ხარჯებს, რომლის დაფარვა მუშათა დღევანდელ ხელფასს აღემატება. ამან გამოიწვია შრომის სამინისტროს მეორე დადგენილება—გაუდიდდეს ყველა მუშა მოსამსახურეებს არსებული ჯამაგირი ორმოცი პროცენტით. ეს წინადადება უკვე მიიღო დამფუძნებელმა კრებამ.

რა თქმა უნდა, ეს გადიდებაც ვერ შეამსუბუქებს მუშათა გაჭირვებულ მდგომარეობას, მაგრამ თუ მოხერხდა პირველი მოთხოვნილების საქონლის ხელსაყრელ ფასებში შეძენა და მიწოდება, შესაძლებელი იქნება „სულის მობრუნება" და ჩვენი მუშათა კლასი, რომელმაც ამდენი გაჭირვება, ამდენი მსხვერპლი, ამდენი თავგანწირვა გამოიჩინა თავისუფლების და რესპუბლიკის დაცვაში, ეჭვი არაა, დაკმაყოფილდება, კვლავ შემოიკრებს ძალას თავის და ქვეყნის გადასარჩენათ იმ იმედით და იმ რწმენით, რომ შორს აღარაა ის ბედნიერი დღე, რომლის ნიადვარი წალეკს ამ ქვეყნის უკუღმართობა-უთანასწორობას და ტახტს დაუდგამს იმ სანეტარო მომავალს, რომლისკენ ის ასე ისწრაფვის.

განი.

პრესა

„ივერია" ირაზმება თოფითა და ჯინჯილითა, უნდა ქალაქსა მიადგეს, ამოხოცოს შიმშილითა.

მისი პირველი გაბედული იერიშები უკვე მოტანილია ამ გაზეთის ფურცლებზე. მეღვინეთა და მევენახეთა კონგრესმა, არ ვიცით რით მისცა საბაბი ამ აფოფხურებულ გმირებს, მაგრამ ფაქტია, რომ ასეთი რიხით მოგვმართავენ:

„ჩვენი სოფლის ბურჟუაზია იღვიძებს და ძალას იკრებს. ის ახლო მომავალში სამსჯავროს წინ დააყენებს ჩვენი სახელმწიფოს ეხლანდელ იმ მართველ სოციალისტურ წრეებს, რომელთანაც არ გასჭრა არც გონიერმა სიტყვამ, არც ისტორიის მაგალითებმა და სოციალისტური პოლიტიკის წარმოებით ძირი გამოუთხარეს ქვეყნისა და ხალხის ათას წლობით დაგროვილ ავლადიდებას. ბურჟუაზია, ე. ი. მესაკუთრეთა წრე—ერისა და ქვეყნის ურთგულესი მოჭირნახულეა. მის წინააღმდეგ შეურიგებელ ბრძოლას აწარმოებენ ყველა სოციალისტები და ჩვენი მართველი პარტიაც. მაგრამ მესაკუთრეთა წრე უნდა შეკავშირდეს და საბრძოლველათ დარაზმდეს. მევენახეთა და მეღვინეთა მაგალითს უნდა მიყვენ მეაბრეშუმენი, მეთამბაქოენი, და სხ. მწარმოებელნი. თუ მესაკუთრეთ სურთ თავიანთი წარმოების გაუმჯობესება, თუ მათ სურთ თავიანთი საარსებო ინტერესების დაცვა, თუ მათ სურთ უზრუნველყოფა ახალ ახალ განსაცდელებისაგან, რომელთაც მათ უმზადებს ყოველ დღე ჩვენი მართველი სოციალისტური პარტია,—მესაკუთრენი და მწარმოებლები უნდა შეჯგუფდენ, შეერთდენ კავშირებში. მათ უნდა მოაწყონ ყრილობები, სადაც გამოაშკარავებენ თავიანთ საჭიროებათ და გაიჩენენ მუდმივ ცენტრს ბიუროს სახით. ჩვენი გაზეთის ფურცლებზე ჩვენ არა ერთხელ მოგვიწოდებია ჩვენი მწარმოებელნი შეკავშირებისაკენ. ჩვენ სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ შავი ქვის მრეწველნი და მევენახე-მეღვინენი უკვე პრაქტიკულად დაადგნენ ამ გზას. მათ მაგალითს ეხლა სხვებიც უნდა მიყვნენ. მწარმოებელნი უნდა შეერთდენ!"

ჩვენ ვიცით როგორი მოჭირნახულეა ერისა ბურჟუაზია—ვიცით, რას უფრო მეტი ფასი და ღირებულება აქვს მისთვის—ჯიბესა თუ ხალხს, ერს, სახელმწიფოს. მაღალ ფრაზის ნამდვილი შინაარსი ყველასათვის ნათელზე უფრო ნათელია. ბურჟუაზია დააჯდება და შეახრამუნებს ერის მთელ სიმდიდრეს და ამას „ეროვნულ მოღვაწეობას" დაარქმევს. განა დღესაც ასე არ იქცევა?

რაც შეეხება მესაკუთრეთა შეკავშირებას, ჩვენ სიამოვნებით ვეგებებით ამ ფაქტს, სულ ერთია ჩვენს მისამხრობათ იქნება შექმნილი ეს კავშირები, თუ ჩვენს საწინააღმდეგოთ. პირველ შემთხვევაში ჩვენ გვეყოლება **გარკვეული** მოკავშირე, მეორეში **გარკვეული** მოწინააღმდეგე. ერთიც და მეორეც სჯობია გაურკვევლობას.

მწარმოებელთა ინტერესების, როცა ისინი საწარმოვო ძალთა განვითარებას ემსახურებიან, ჩვენ არ გვეშინია. მაგრამ თუ იგინი შრომის დაჩაგვრას მოისურვებენ თავის პირად, თუ კლასობრივ ბედნიერების აგებას, მუშათა დემოკრატიისაგან შესაფერ წინააღმდეგობასაც შეხვდებიან. არც ჩვენ, სოციალისტები შევხვდებით ასეთ სურვილებს გულხელ დაკრეფილი.

მაგრამ ჩვენ გვგონია, რომ ეს „ბრძოლის ყიჟინა" უფრო ჩვენი ჩიტირეკია ნაციონალ-დემოკრატების განუყოფელი საკუთრებაა, და არა იმ მევენახე და მეღვინეების, რომელთაც ჩვენში ამ დარგის კულტურულათ ამაღლება და განაყოფიერება აქვთ მიზნათ დასახული.

დემოკრატიულ ქვეყანაში, დემოკრატიულ წყობილებაში ყოველი მწარმოებელი, მუშის ფართე მასსის, მომხმარებლის ინტერესებს ვერასოდეს ანგარიშ გაუწევლათ ვერ დასტოვებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ მათი შეკავშირება ამ დემოკრატიას მხოლოდ ახალ მოკავშირე ძალათ მოევლინება თავის აშენებლებთან მუშაობაში და არა მოპირდაპირეთ.

* * *

„ივერიამ" ამას წინეთ სიბუნიონთან ხელშეკრულობის გამო უსაფუძვლო განგაში ასტეხა. ვუსაყვედურეთ. დავანახვეთ, რომ მშობლიურმა კაპიტალმა გაცვლებით უარესი პირობები წარმოადგინა, ვინემ სიბუნიონმა, რომ პატრიოტიზმი მათი საკუთარი ჯიბის პატრიოტიზმი აღმოჩნდა და არა კომერციული ანგარიში. მათ უნდოდათ „ივერიის" პატრიოტული ყიჟინი ბაჯაღლო ოქროებზე დაეხურდავებინათ. ჩვენმა მთავრობამ ეს „ურა პატრიოტიზმი ჯიბისა" ასეთ ღირებულების საგნათ არ ჩასთვალა და ვაჭრობაში ანგარიშს მეტი მნიშვნელობა მისცა. გაწიწმატებული „ივერია" ხელაღლა დაობს და თავის სიმართლეს ამტკიცებს. ჩვენ მას აღარ გამოვუდგებით, დამფუძნებელი კრების ტრიბუნა გასცემს საკადრის პასუხს.

მაგრამ არ შეგვიძლია არ აღვნიშნოთ, რომ იმავე წერილში, ჩვენ ქართველ ბურჟუაზიას მოვსთხოვეთ „ივერიის" მიღებული ვექსილის განცხადებაზე თავის დასტური მიეცა.

„ივერიამ" მოუწოდა მათ გამოეჩინათ უნარი ქვეყნის ურთგულესი მოჭირნახულობისა, დაედოთ მალამო ქვეყნის უსურსათობისა და უსაქონლობისათვის თავის კომერციული საქმიანობით. დავუდევით კიდეც ვადა ამ დაპირების სარეალიზაციოთ: ექვსი თვე. გვეგონა პასუხს მივიღებდით. „ივერიამ" კი პირში წყალი დაიგუბა. ბატონებო, ალახვენით პირი თქვენი და მოიღეთ სიტყვანი თქვენი. გვიბრძანეთ, შეგიძლიათ რა-მე საქმიანობა, თუ მხოლოდ ტრაბახით გვიჭედდით ყურებს?

ველით თქვენი ქებული ბურჟუაზიისაგან „ურთგულეს მოჭირნახულობას".

სომხეთ-ადერბეიჯანის შეთანხმება

(საქ. დეპ. სააგენტოს ცნობა).

იმ შეთანხმებით, რომელიც მიღებულ იქნა ქ. ტფილისში მიმდინარე 1919 წლის ნოემბრის 23 სომხეთის მთავრობის თავმჯდომარეს ხატისიანსა და ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარის უსუბბეკოვის შორის, დადგენილია შემდეგი:

1) მთავრობები სომხეთისა და ადერბეიჯანისა პირობას სდებენ შესწყვიტონ ურთიერთ შორის დაწყებული სამხედრო შეტაკება და მომავალშიაც აღარ მიმართონ იარაღს. 2) ადერბეიჯანისა და სომხეთის მთავრობანი იღებენ საჭირო ზომებს, რათა შესწორებულ იქნეს ზანგეზურის გზები და აღდგენილი მასზე მშვიდობიანი მიმოსვლა. 3) სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობები პირობას სდებენ შეთანხმებით გადასწყვიტონ ყოველივე სადავო საკითხები, მათ შორის საზღვრების საკითხებიც, ვიდრე ამის შესახებ საჭირო დადგენილებას არ მიიღებს სამშვიდობო კონფერენცია. უკეთუ საკითხის გადაჭრა ურთიერთ შეთანხმებით მიხწეულ ვერ იქნება, ორივე სახელმწიფო ვალდებულია აირჩიოს 1 გარეშე პირი, მედიატორი, რომლის გადაწყვეტილებაც სავალდებულო იქნება ორივე მხარისათვის. დღევანდელ შემთხვევაში ამგვარ გარეშე ნეიტრალურ პირათ ცნობილია ამერიკის ჯარის პოლკ. ჯემს ს. რეი. 4) სომხეთისა და ადერბეიჯანის მთავრობანი ირჩევენ თანასწორ რიცხვს დელეგატებისას ნოემ. 26 ბაქოში განზრახულ კონფერენციაზე დასასწრებლათ. დეკემბრის ოთხს აღნიშნული კონფერენცია თავის მოქმედებას გადმოიტანს ტფილისში, სადაც განაგრძობს მუშაობას, უკეთუ ორივე სახელმწიფო ურთი ერთ შეთანხმებით საჭიროთ არ სცნობენ კონფერენციის სადმე სხვა ადგილას ტფილისიდან გადატანას. აღნიშნული კონფერენცია განიხილავს ყველა საკითხებს, რომელნიც იწვევენ უთანხმოებას სომხეთისა და ადერბეიჯანს შორის და უფლება ექნება გადაჭრას საკითხები შეთანხმებითა და

დღეს

ვენაში შიმშილობაა. შიმშილით და სიცივით უმთავრესათ მუშათა შვილები იხოცება. მოითხოვენ გერმანიის მაღაროს მუშათა და რკინისგზელთა საჩქარო დახმარებას.

უნგრეთში ახალი კაბინეტი შედგა, რომელშიაც გზათა მინისტრი პეიერი და ვაჭრობის სამინისტროს სტატს სეკრეტარი სოციალ დემოკრატები არიან

პოლონეთი მოითხოვს გალიციის შეერთებას. ამის წინააღმდეგნი არიან ინგლისი და ამერიკა. საფრანგეთი მხარს უჭერს პოლონეთს.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა რუსეთსა და ბალტიის მთავრობის შორის მოლაპარაკება სწარმოებს.

კალუგაში საბჭოთა მთავრობის საწინააღმდეგო შეთქმულება აღმოაჩინეს. მონაწილენი დახვრიტეს.

ბოლშევიკების ცნობით: გერმანიის დამოუკიდებელმა სოციალისტებმა შეიდემანელებთან შეთანხმებაზე უარი განაცხადეს; ბრიტანიის სოციალისტური პარტია მესამე ინტერნაციონალს შეუერთდა; ლონდონში საქალაქო არჩევნებში მუშები იმარჯვებენ; დენიკინის ჯარიდან ყუბანის ყაზახები გარბიან

არბიტრაჟით; 5) აღნიშნული შეთანხმება მიღებულათ ითვლება სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობათა წარმომადგენლების მათზე ხელის მოწერით, ხოლო ძალაში შედის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ. სომხეთ-ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარენი ავალებენ მთავრობებს პირნათლად შეასრულონ ყოველი მუხლი უკვე მიღწეულ შეთანხმებისა, რის დასამტკიცებლათ ისინი ხელს აწერენ შეთანხმების აქტს, მიღებულს ქ. თფილისში ამა 1919 წელს, ნოემბრის 23, შედგენილს სამ ცალათ: ინგლისურსა და რუსულ ენაზე, რომლის თითო ცალი ბარდება სომხეთისა და ადერბეიჯანის მთავრობათა თავმჯდომარეებს.

ხელს აწერენ:

ალ. ხატისოვი. სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე. **უსუბბეკოვი,** ადერბეიჯანის მთავრობის თავმჯდომარე. მოწმეები: **ევგ. გეგეჭკორი,**—საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი. **დ. ხ. რეა,**—ამერიკის ჯარის პოლკოვნიკი და მოკავშირეთა უმაღლეს კომისრის მოადგილე.

დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)

25 ნოემბერი.

გერმანული პრესის ცნობები.

ვეიგერში, პფალცის სოფელში, ორმა ფრანგმა ჯარისკაცმა სრულიად უმიზეზოთ დაიწყო სროლა, მოკლულ იქნა ერთი ქალი. სამხედრო სასამართლომ მკვლელებს 5 წლის ციხე გადაუწყვიტა. ამან ცოტათი დაამშვიდა მცხოვრებნი, რომელნიც პფალცში მომხდარ უწესოების გამო ძლიერ აღელვებულნი არიან.

ვენიდან მოსული დეპეშა იუწყება: ვენის პროლეტარიატის ბავშვები სიმშილით და სიცივით იხოცებიან. მათი მშობლები ძლიერ გაჭირვებულნი არიან და ბავშვებს ვერაფერ დახმარებას ვერ უწევენ. ვენაში აუწერელი უბედურება ტრიალებს. დეპეშა მოითხოვს, რომ გერმანიის მაღაროს მუშებმა და რკინის გზელებმა ერთი სამუშაო დღე შესწირონ დამშეულ ვენას. პარლამენტს არას დროს არ მოუსმენია ისეთი გულშემზარავი მოხსენება, როგორც რენნერისა იყო. „ნეიე ვაინე ჟურნალი" წინადადებას აძლევს მთელი ქვეყნის მუშებს 15 წუთის მუშაობა ავსტრიას შესწირონ.

დანიის კუნძულ ფალსტერის სარძევე ფერმებმა გერმანიის მთავრობასთან ხელშეკრულებ დასდეს, რომ ბერლინს ყოველდღე მოუწოდებენ 20,000 კილოგრამ რძეს.

პრუსიის გზათა მინისტრის ბრძანებით ზოგიერთი თოფის წამლის დასამზადებელი ქარხანა რკინის გზის სახელოსნოებათ გადავიდა.

აღორძინების მინისტრმა დაარსა საგანგებო კომისია დანგრეულ ოლქებში შენობების აგების თვალყურის სადევნებლათ

გერმანიის დამფუძნებელი კრების სხვადასხვა პარტიებმა წინადადება შეიტანეს გააძლიერონ დამშეული ვენის დახმარება.

„ფორვერტს"-ი გამოსთქვამს სურვილს, იმის შესახებ, რომ მოკავშირეთა კომისიამ ბალტიკაში იზრუნოს, რათა გერმანიის უკან დაბრუნებულმა ჯარმა მშვიდობიანად მოაწიოს გერმანიის საზღვრებს და უსაფუძვლოდ შეურაცხყოფას ნუ მიაყენებენ.

ბუდაპეშტიდან იუწყებიან ახალი კაბინეტის შემადგენლობას: მინისტრი პრეზიდენტი გუსგეი, გარეშე საქმეთა მინისტრი გრაფ ზომსიხი. შინაგან საქმეთა — ბენიცეი, განათლების—გალერრი, სტატს სეკრეტარი—პეკარი, მიწად მოქმედების—რუბინეკი, სტატს სეკრეტარი მაიერი, ვაჭრობის—გენრიხი, სტატს-სეკრეტარი—ვიაკრცი, გზათა მინისტრი პეიერი, სტატს-სეკრეტარები მჩეკელი და ბენარდი, იუსტიციის—დ-რი ბრეცი, ეროვნულ ქონების მინისტრი—ბლეიერი, ფინანსთა—ბარონი კორანი, სამხედრო მინისტრი—ფრიდრიხი, ანტანტასთან დამოკიდებულების მინისტრი და პროპაგანდის ჯერ არ დანიშნულა. ახალ კაბინეთში გზათა მინისტრი პეიერი და ვაჭრობის სამინისტროს სტატს სეკრეტარი სოციალ-დემოკრატები არიან.

ამერიკულ პრესის ცნობები.

დღეს, საღამოთი პარიზიდან ბერლინში გაემგზავრა ომის შემდეგ განთავისუფლებულ ოლქების მინისტრი გერმანიის მთავრობისთვის საზავო ხელშეკრულების აქტის წარსადგენათ. შიშობენ, რომ რადგან ცოტა დრო დარჩა, დამტკიცებულ საზავო ხელშეკრულების გაცვლა-გამოცვლა არ შეიძლება მოხდეს ორშაბათისთვის 1 დეკემბერს. გერმანიის მთავრობის განკარგულებაში სამი დღე დარჩება, რომ ხელშეკრულების ყველა მუხლებს გაერკვეს.

გერმანიის დელეგატებს უსაყვედურებენ ხელშეკრულების იმ მუხლისთვის, რომლითაც გერმანია ვალდებულია მოკავშირეებს გადასცეს 400,000 ტონი სანავთსადგურო ინვენტარი. გერმანიის მთავრობამ დიდხანს უნდა იტეხოს თავი სანამ ამ მუხლს მიიღებდეს.

ბრემენის, ჰამბურგის და სხვა ნავთსადგურების ჯარისკაცთა საბჭოებმა მთავრობას აცნობეს, რომ მოსალოდნელია სერიოზული აღელვება, თუ ვინიცობაა მოკავშირეებს ტონაჟს გადასცემენ უკიდურესი მილიტარისტები და როიალისტებიც მთავრობას მწვავეთ თავს ესხმიან და ტონაჟის გადაცემის წინააღმდეგ პროტესტს აცხადებენ, მიუხედავათ იმისა, რომ მოკავშირეები გადაცემას დაჟინებით მოითხოვენ.

პოლონეთის მთავარი შტაბის განცხადებით საკმარისი არ არის, რომ პოლონეთს გალიციაზე პროტექტორატი 25 წლით დაეთმოს, გალიცია პოლონეთს სამუდამოთ უნდა შეუერთდეს. ფიქრობენ, რომ პადერევსკი მოასწრებს პარიზში დაბრუნდეს, სანამ უმაღლესი საბჭო თავის არსებობას დაასრულებდეს, რათა უკანასკნელათ მოუწოდოს, რომ პოლონეთი იხსნან გალიციის სამუდამოთ შეერთებით.

ინგლისი არაოდეს არ დათანხმდება, რომ გალიცია მთლათ გადაეცეს პოლონეთს. თავის თავათ იგულისხმება, რომ შეერთებული შტატებიც არ მიიღებენ ამ გეგმას. ისინი უპირატესობას მისცემენ შემდეგში პლებისციტის მოხდენას. გალიციაში უმეტესად რუსები სცხოვრობენ, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, მოინდომებენ რუსეთის მასსას შეუერთდნენ უკრაინაში, თუ ვინიცობა რუსეთი პატარა სახელმწიფოებათ დაიყო და უკრაინამ დამოუკიდებლობა მიიღო. პოლონეთის მთელი მოქმედება მიმართულია უკრაინის ჩასაყლაპავად, თუ ამას შემთხვევა მოიტანს და ამაში რომ ხელი შაუშალოს, ინგლისი წინააღმდეგია გალიცია პოლონეთს გადაეცეს.

საფრანგეთი ხელს უწყობს გალიციის პოლონეთისთვის გადაცემას, მისი სურვილია, რომ უკრაინა და გალიცია ფედერატიულად შეუერთდეს პოლონეთს, ბესარაბია კი რუმინიას.

ფრანგული პრესის ცნობები

პარიზის პრესა აზრს გამოსთქვამს, რომ ვილსონი ვერსალის ხელშეკრულებას გადასცემს ამერიკის სენატის ოქტომბრის სესიას განსახილველად. რესპუბლიკანელებსა და დემოკრატებს შორის მოლაპარაკების დაწყებას ფიქრობენ კომპრომისის მიღწევის მიზნით.

ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ამტკიცებს, რომ მიტავაში პარასკევს ლატიშთა ჯარმა რუსეთ-გერმანელ ძალების გენერალური შტაბი ხელში ჩაიგდო. შეტევა გრძელდება.

მოხალისეთა ცნობები.

ტაგანროგი. ნოემბ. 24. ასტრახანის მიმართულებით ცნობები არ მოსულა. კამიშინის მიმართულებით მტრის შეტევა კონტრ იერიშით მოვიგერიეთ. კაჩალინის ჩრდილოეთით საბჭოთა პოლკებს შემოერტყა ჩვენი ცხენოსანი რაზმი და სრულიად გაანადგურა. ბალაშოვის მიმართულებით დონზე და ხოპრზე არსებითი ცვლილებები არ მომხდარა. ლისკის რაიონში და კოროტოიაკის სამხრეთით ბრძოლაა. სტარო ოსკოლის სამხრეთით მოწინავე რაზმების შეტაკებაა: პეტროპავლოვსკოე ვოლოპონსკოე ნიკოლაევკას ფრონტზე. კურსკის მიმართულებით ობიანის ჩრდილოეთით და სუჯის რაიონიდან ახალი ცნობები არ მოსულა. ჩერნიგოვის მიმართულებით ბახმაჩის სამხრეთით წითლების შემოტევა შევაჩერეთ. ნეჟინის რაზმი სად. პრიპუტნის დასავლეთით იბრძვის. კოზელეცის რაიონში მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ჟიტომირის მიმართულებით მდ. ირპენზე მზვერავები მოქმედებენ. ფასტოვის რაიონში სიწყნარეა. სად. კაზატინი ჩვენმა ჯარმა აიღო. ვოლჩის მიმართულებით ჩვენ მტრის შეტევას ვაჩერებთ და ქალაქი პროსკუროვი, მიხალგოვი და უშიცუ ავიღეთ. ჯავშნიანი მატარებელი „დობროვოლეცი" ბერდიჩევის სადგურზე შეიჭრა და მტრის ეშელონი გაანადგურა. ხელში ჩაიგდო 6 ტყვიისმფრქვეველი სად. კაზატინიდან წამოიღო (გამოტოვებულია).

ბოლშევიკური ცნობები.

მოსკოვი. ნოემ. 24. სამხედრო ცნობა ნოემ. 24. ნარვის მიმართულებით ჩვენი შეტევა კარგად ვითარდება. კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარი შეტევაზე გადავიდა. ნეჟინის რაიონში ჩვენ ბრძოლით ავიღეთ სად. კრუტი და ვორონეჟის რკინის გზის სამხრეთით მტერს ვავიწროვებთ. სუმის მიმართულებით ჩვენი ჯარი პუტივლიდან 4 ვერ. იმყოფება. სუჯის მიმართულებით ჩვენ კორენევო, სნაგოსტი და სხვა სოფლები ავიღეთ სუჯის ჩრდილოეთით 10 ვერსზე. ბელგოროდის მიმართულებით ჩვენ სოლნცევო და მდ. სეიმზე სოფლები ავიღეთ. ვალუიკის მიმართულებით სტარო-ოსკოლთან და მდ. პოტუდანის ჩრდილოეთ ნაპირზე ბრძოლაა. ლისკის ჩრდილოეთით 5 ვერსზე ბრძოლაა. დონსა და ვოლგას შუა ბრძოლას ადგილობრივი ხასიათი აქვს. ცარიცინის რაიონში ვოლგას მარცხენა ნაპირზე ჩვენ ავიღეთ დუბოვკის სამხრეთ აღმოსავლეთით 5 ვერსზე სოფ. რახინკა და ვერხნე ახტუბინსკოე და ცარიცინის ჩრდილოეთ აღმოსავლეთით 15 ვერსზე ბეზროდნოე. ასტრახანის რაიონში კრასნო იარის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით 15 ვერსზე ჩვენ ტელიაჩიე ავიღეთ.

მოსკოვი. 24 ნოემბ. კალუგაში აღმოაჩინეს კონტრ რევოლიუციონური შეთქმულება კონტრ რევოლიუც. ორგანიზაციის მეთაურები. მონაწილენი დახვრეტილ იქნენ.

მოსკოვი. 24 ნოემბ. საბჭოთა მთავრობისა და ბალტიის მთავრობის შორის მოლაპარაკებაა.

ნაუენი ნოემბ. 23. მიულგაუზენში, სტრასბურგში და მეტცში საფრანგეთის გარნიზონები ახალშენების ჯარით გააძლიერეს მუშების ახალი მღელვარების შიშიანობის გამო. გერმანიის დამოუკიდებლებმა შეიდემანელებთან შეთანხმებაზე უარი განაცხადეს. დამოუკიდებელთა კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, სადაც მეუმრავლესე სოციალისტებთან მოლაპარაკებაზე უარს აცხადებენ. ბრიტანიის სოციალისტური პარტია მესამე ინტერნაციონალს შეუერთდა,

ზელოოსტროვი. ნოემ. 20. ინგლისის გაზეთები იუწყებიან, რომ ლონდონში ქალაქის არჩევნებში მუშები იმარჯვებენ. მაგალითად 28 ადგილობრივ თემიდან მუშათა პარტიამ უმეტესობა მიიღო

ხარკოვი. ნოემ. 23. ფრონტიდან ყუბანელების წასვლა გრძელდება. დონის და ყუბანის ოლქებში დენიკინის მიერ პურის რეკვიზიციის ნიადაგზე გლეხების აჯანყებაა.

გომელი. 23 ნოემ. ჩერკასში ებრაელების დარბევის დროს 99 კაცი დაიღუპა. ბურჟუაზია კიევიდან გარბის. გლეხები დენიკინის ფულის მიღებაზე უარს აცხადებენ. უმუშევრები რამოდენიმე ათასობით არის.

ამერიკის დახმარება

ამერიკის ორგანიზაცია, რომელიც მოქმედობს „ახლო აღმოსავლეთის დახმარების" სახელწოდებით და რომელიც განაგებს ამიერ კავკასიის ლტოლვილთა შორის ფქვილის განაწილების საქმეს, იმუშავებს იმ ზომებს, რაიც უნდა მიღებულ იქნას ეპიდემიის და სხვადასხვა გადამდებ ავადმყოფობის გავრცელების წინააღმდეგ.

ეპიდემიის გავრცელებას ზამთარში ხელს უწყობს ის გარემოება, რომ ლტოლვილები თავმოყრილი არიან ერთად—პატარა შენობებში, ანტი სანიტარულ პირობებში უხდებათ ცხოვრება, მათ ბინებს არ ათბობენ, ოთახებს ვინტილიაცია არ აქვთ და სხვა.

მოკავშირეთა უმაღლეს კომისრის მოადგილემ პოლკოვნიკმა რეიმ, რომელსაც დაკისრებული აქვს საქართველოს, ადერბეიჯანის და სომხეთის მცხოვრებთათვის დახმარების აღმოჩენა, მიიღო ზომები, რომ ამ ზამთარში არ გავრცელდეს ეპიდემია მცხოვრებთა შორის. ამ მიზნით ამერიკის ორგანიზაციამ გადასდგა სათანადო ნაბიჯები ასაცრელ მასალის შესაძენად

სახადის და ხოლერის წინააღმდეგ აცრამ დიდი ნაყოფი გამოიღო. მოკავშირეთა ჯარებს სალონიკაში აუცრეს და იქ ეპიდემიაც შესუსტდა, ერთ და იმავე დროს აუცრიან ყვავილსაც და ამ გვარათ მცხოვრებნი თავის ნებიან ხუთ სამინელ ეპიდემი ლტოლვილთა უმეტესობა ფიზ [illegible] ფობა გაჩნდება ლტოლვილთა შ იგი სწრაფად ვრცელდება და გ ლებული ეპიდემია ძნელად ნ საჭიროა წინასწარი ზომების ეპიდემიის გაჩენამდე, და ამიტომ რიკის კომიტეტის მიერ გადად ნაბიჯებს ფრიად დიდი სარგებ მოტანა შეუძლიანთ ადგილობრივ მ რებთათვის.

ამერიკის კომიტეტი უფასოთ ა ყველას თავის მსახურთ: თფი ერევანში, ალექსანდროპოლში, კარაკლისში და სხვა ადგილებში დგ ამისა აუცრიან ამერიკელებ შესაფარში მყოფ ობლებს, მესა ტეგორიას ლტოლვილებს. თუ შემდეგ შრატი დარჩება, ის მოხ ბა ფართო მასსას. აცრას შეუ ნოემბრის ბოლო რიცხვებში.

ახალი ამბებ

◆ **საგარეო საქმეთა სამინისტ** ახლო ხანში საქართველოში გამო რებას აპირობენ შემდეგი ჯარის საფრანგეთიდან: 1) ხახანაშვილი სანდრე, 2) სტეპანიანცი ისაკი, 3 ქია ქრისტაფორე (სოხუმიდან), 4 უშჩევი ალექსი (ს. სეჩინო, სიღნ 5) კუტავოი იაკობ, (ქ. თფილის ბელგიიდან: 1) ნიკიფორე დადეშქელიანი (ც., 3) ადამ სა ეგვიპტედან: 1) გოგელია აკაკი ისძე, (ოდეში კალე), 2) აბრამ ისაკ (ს. გუნდეთი, შორაპ. მაზ.), ჩაძე გიორგი (ქ. გორი), 4) შა ლი ივანე (ს. ჩალაუბანი, სიღნ. მ აბესაძე ვარდენ (ს. მუხური, შო მაზრა) 6) ცანკაშვილი ზიქარია ჯინი, სიღნ. მაზრა), 7) თედორა მიხაილ (ქ. თფილისი).

◆ **სურსათი საქართველოსთვი** რიკის გენერალურ საკონსულოში ნასკნელად მიღებულ ცნობის თან ამ მოკლე ხანში ბათუმში ნიუიორ მოვა გემი, რომელსაც საქართვე თვის მოაქვს დიდძალი შაქარი და

◆ **თფილ. ქალაქის საბჭოს** შესდგება ხუთშაბათს, 27 ნო სთხოვენ ხმოსნებს აუცილებლა ესწრონ სხდომას.

◆ **სენაკის სამაზრო ერობის გ** ბამ იქონია რა მსჯელობა დამსა ბულ მწერლის ვასილ ბარნოვის 30 განმავლობაში სამწერლო ასპ მოღვაწეობის შესახებ და მი მხედველობაში ის ღვაწლი და რომელიც მას მიუძღვის სამშ ლიტერატურის აღორძინება-გამ ბაში, დაადგინა: გადაეცეს გაზე თობის" რედაქციის საშუალებით ლიარს ვ. ბარნოვს სენაკის ზრო ერობის სახელით სამი მანეთი (ფული რედაქციამ მი განკარგულებაში.

აზროვნება და რევოლიუცია

ხშირათ გვეჩვენება, თითქოს რევოლიუცია აკეთებდეს თავის რევოლიუციონურ საქმეს და აზროვნება კი—ბრძნულს. მაგრამ უფრო დაწვრილებით თუ ჩავუკვირდებით საქმეს, მაშინ დავინახავთ, აქვს თუ არა ამათ საერთო რამ, ანდა რათ დაგვჭირდა მათ კავშირზე ლაპარაკი. ჩვენ, საზოგადოდ, წარმოგვიდგენია, თითქოს რევოლიუცია არის მარტო მკაცრ მებრძოლთათვის, აზროვნება კი—მშვიდ მეცნიერთათვის და მათ შორის არაფერი საერთო არ არსებობს. მაგრამ ნამდვილათ კი მათ შორის ღრმა და სერიოზული კავშირია; კავშირი არა მარტო ისტორიულ განვითარების კანონებით წარმოშობილი, როდესაც რომელიმე დაჩაგრული კლასები ან ერები რევოლიუციის ცეცხლს ანთებენ ამა თუ იმ მეცნიერულ იდეის დროშის ქვეშ; ეს კავშირი გამოწვეულია არა მარტო კლასთა ბრძოლის კლასიურ იდეოლოგიით,—ეს არის კავშირი მეცნიერების ძირითად აზრსა და რევოლიუციონურ მოღვაწეობის შორის.

საიდან წარმოსდგება რევოლიუცია, ან რას აკეთებს იგი?

საზოგადოთ რევოლიუციას წარმოშობს საზოგადოებრივი ცხოვრების წინააღმდეგობანი, როდესაც საზოგადოებრივ ცხოვრების შინაარსი ვერ თავსდება თავის ჩარჩოებში და ახალ ცხოვრების პროცესში გადადუღს. საფრანგეთის რევოლიუცია დიდი ხნიდან შემზადებული იყო სოციალური პირობებით, მაგრამ აზროვნებამ იგი უფრო მედგრად გააღრმავა და განამტკიცა. ლუი მე 14 ეს მეფობა გაიარა გამანადგურებელი ომებით და დიპლომატიური დამარცხებით. ამის შემდეგ ერი მეტათ შემცირდა და დაუძლურდა. მას აწუხებდა შიმშილი, არეულობა და ყოველგვარი აუტანელი ბეგარა. მეფის სიკვდილის შემდეგ მცირეწლოვან მემკვიდრის მაგიერ ქვეყანას განაგებდა ჰერცოგი ფილიპპე ორლეანელი. ეს ხანაა ყველაზე უფრო შესანიშნავი საფრანგეთის ისტორიაში: თავად-აზნაურობა იხრჩობოდა გარყვნილებასა და ფუფუნებაში. თვით ჰკუამჩატი რეგენტიც ატარებდა დროს სახელმწიფო საქმეების მაგივრათ ქეიფსა და ორგიებში. ასეთ ცუდ მაგალითს აძლევდა თავის ქვეშევრდომთ. მაღალ კლასთათვის ცხოვრების მიზნათ მარტო სიამოვნებათ გადაიქცა.

არც სარწმუნოება, არც სინიდისი, არც ზნეობრივი კანონი იმ დროს არ არსებობდა ხალხისთვის. გამხრწნებული თავად-აზნაურობა კი სარგებლობდა ყოველგვარი ძალა-უფლებით. მათ წარმომადგენლებს საპატიო ადგილს აძლევენ სახელმწიფოში და მის ხელშია ქვეყნის მართვა გამგეობა. ამასთან ერთად ის ზიზღით უცქერის დანარჩენ ხალხს. სახელმწიფოს ფორმა და კანონები თითქოს მარტო იმისთვის არსებობდენ, რომ ამ გაბატონებულ წოდებათა ინტერესები დაეცვათ. საჭირო არაა იმის თქმა, ფიქრობდა თუ არა თვით ეს წოდება სახელმწიფოზე. მათ ყოველივე საზოგადოებრივი საქმე მიტოვებული ჰქონდათ და მდაბალ ხარისხის სიამოვნებას მისდევდენ. ამ რიგათ, ქვეყანა დარჩა უპატრონოთ. ამ დროს, როდესაც მაღალი წოდება დაღუპვის გზას დაადგა, ახლად გაჩენილი ბურჟუაზია, ნელნელა ძლიერდებოდა, ვითარდებოდა გონებრივად, ზნეობრივად და ეკონომიურად. ეს კლასი იგდებს ხელში სიმდიდრეს და თავის შრომით, მხნეობით, ნელ ნელა საზოგადოებაში გავლენას პოულობს. ბურჟუაზია ხდება ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების უმთავრეს ძალად. მან უკვე კარგად შეიგნო ეს თავისი გავლენა საზოგადოებაზე. მაგრამ ეს შეგნება ამავე დროს ვერ შეესაბამებოდა მესამე კლასის სოციალურ მდგომარეობას. ის მოკლებული იყო ყოველგვარ პოლიტიკურ უფლებებს, რომლებითაც მარტო თავადაზნაურობა და სასულიერო წოდება სარგებლობდა. ამასთანავე, უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ახლად წარმოშობილი მესამე წოდება არ წარმოადგენდა თავის მხრივ ერთ მთელს. ის შესდგებოდა ორი ჯგუფისაგან: ერთს შეადგენდა მცხოვრებთა მდიდარი ნაწილი, ე. ი. ვაჭრები და მესაკუთრენი, მეორეს კი წვრილი ხელოსნები, გლეხები და ქალაქის მუშები. ეს მეორე ჯგუფი ყავს მხედველობაში, როდესაც მწერლობა ამბობს ხალხზე. მე XVIII საუკუნეში ეს ორივე ჯგუფი ერთად მოქმედობს, რადგანაც ორივეს ერთი მტერი ყავს—გაბატონებული წოდება. ზიზღი ამ უკანასკნელისადმი აერთებს მათ. თავადაზნაურთა პრივილეგიების წინააღმდეგ პირველად ბრძოლას იწყებს მესამე წოდების პირველი ჯგუფი, ე. ი. მისი მდიდარი ნაწილი.

მეორე ჯგუფი ანუ მდაბიო ხალხი ჯერ კიდევ არ გამოსულა თავისი პირდაპირი ინტერესების სახელით. მათი გამოსვლა ისტორიულ ასპარეზზე მოხდა მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს. აქედან ჩნდება უკვე მეოთხე წოდება, რომელიც სოციალურ პირობების გამო მესამე წოდების დაუძინებელ მტრათ იქცევა. ამ კლასებათ იყოფოდა იმ დროის საფრანგეთის მცხოვრებნი. თანდათან აშკარავდებოდა, რომ მთავრობასა და საზოგადოების შორის მომხდარი ანტაგონიზმი უფრო მწვავდებოდა და ძველი მთავრობის დამხობას ლამობდა. მონარქიის დამსხვრევა იქნებოდა სიმპტომი მთელი საზოგადოებრივი წყობილების დამსხვრევისა, რომლის შორის უკვე ახალი იბადებოდა. და სწორეთ ამ დროს გაისმა მედგარი ხმა ფილოსოფოსებისა, რომლებიც მოითხოვდენ არსებულ საზოგადოებრივ წყობილების ძირიანათ შეცვლას, ყოველგვარ წოდებრივ უპირატესობის მოსპობას, ყველას თანასწორობას. აზროვნების გავლენა რევოლიუციაზე იმ დროს ისეთი ძლიერი იყო, რომ ამის შესახებ ხალხური სიმღერაც კი იყო გავრცელებული, სადაც ნათქვამია: ეს სულ ვოლტერის ბრალია, ეს სულ რუსოს ბრალიაო. ამ ორი ფილოსოფოსის თხზულებანი თითქოს სახარება იყო რევოლიუციონერებისთვის. საზოგადოთ, შესანიშნავი სოციალური გადატრიალება წინასწარმეტყველებით იწყება, რომელსაც ხანდახან ზეციურ ხასიათს აწერდენ.

მაგრამ რა უნდა იყოს აქ არაბუნებრივი? სოციალური გადატრიალება ხდება აუცილებელი პირობების გამო, როდესაც საზოგადოებრივი მდგომარეობა ისე მოწყობილა, რომ ახალი ვითარებით შექმნილი უმეტესობა აუტანელად იტანჯება, დრო გადასული უმცირესობა კი სტკბება ტკბილი ცხოვრებით. ასეთ მომენტებში ყველა განიცდის კრიზისს, ყველა გრძნობს, რომ ირყევა საზოგადოებრივი საფუძველი და ეს საზოგადო წინაგრძნობა პოულობს თავის გამომთქმელსაც. აზრს ბადებს ფაქტი და ეს იმდენათ ნათელია, რომ ადვილი გამოსარკვევია საფრანგეთის რევოლიუციისათვის ვოლტერის და რუსსოს მოღვაწეობის მნიშვნელობა. მათ არა თუ გამოიწვიეს ეს დიდი რევოლიუცია, კიდეც იწინასწარმეტყველეს: „ყველაფერს, რასაც ვხედავ,—სწერდა ვოლტერი ჯერ კიდევ 1764 წ.—არის თესლი რევოლიუციისა. ცეცხლი სულ უფრო ახლოვდება და პირველ შემთხვევისთანავე აინთება. ბედნიერია ახალგაზრდობა, რომელიც ბევრ რამეს მოესწრებაო". ოცი წლით ადრე რუსსო სწერდა: „კაცობრიობა შესდგება ხალხისაგან. და ყოველი ის, რაც ხალხი არაა, ისე ცოტაა, რომ მისი ანგარიშში მიღება არ ღირსო". საზოგადოებრივი აზრი გაბრწყინვებული აზროვნებით მოითხოვდა ადამიანთა თანასწორობას, ძმობა ერთობას და თავისუფლებას. ამ რიგათ რევოლიუციონერები გამოდგნენ ნამდვილი მემკვიდრენი ფილოსოფოსებისა. უნდა შევნიშნოთ, რომ საფრანგეთის რევოლიუცია პირველ ყოვლისა, აზროვნების ზეგავლენით დაჩქარდა და გაძლიერდა. თვით კანონები და დეკლარაციები დამფუძნებელ კრებაზე გამომუშავებულნი იყვნენ მეთვრამეტე საუკუნის აზროვნების მიერ ერისადმი შთაგონებულნი. მაშასადამე, ყოველგვარი წინააღმდეგობანი საზოგადოებრივ ცხოვრებისა აღიბეჭდება ხოლმე თანამედროვე აზროვნებაში და ეს წარმოშობს რევოლიუციას.

რუსეთის რევოლიუცია წარმოშვა საზოგადოებრივ შრომის დანაწილების საოცარმა ზრდამ ერთი მხრივ და ნახევრად ფეოდალურ სახელმწიფოებრივ წყობილების წესებმა მეორე მხრივ. საზოგადოებაში შრომის დანაწილების განვითარება მოითხოვს დიდ სიფხიზლეს, დიდ ცოდნას და მით უფრო, როცა წარმოება ხდება მანქანებით. ამ განვითარებას ხელს უშლიდა დახავსებული ბიუროკრატიული წყობილება, რომელიც ყოველ ნაბიჯზე თავს ახვევდა საზოგადოებას თავის შეუფერებელ მზრუნველობას. მსხვილი წარმოების ზრდა მოითხოვს ბაზრის გაფართოებას, მით უმეტეს რუსეთში, ამ სოფლის მეურნეობის ქვეყანაში. ძველი ფეოდალური კლასი მემამულეთა და მის მიერ სახელმწიფოში გაბატონებული ბიუროკრატია სისხლს სწოვდნენ ხალხს და ამით ბაზრის გაზრდის წინააღმდეგ მოქმედებდნენ, მაგრამ წარმოებამ მაინც შექმნა შეგნებული მუშები. კაპიტალიზმი და სამრეწველო პროლეტარიატი რუსეთში მე-80 წლებიდან სწრაფად განვითარდა. უკვე მე-70 წლებიდან პროლეტარიატმა წამოაყენა მებრძოლნი რევოლიუციისა. აშკარა იყო, რომ ამათი სახით რუსეთში დიდი რევოლიუციონური კლასი სდგებოდა. მართალია, რუსეთის ეკონომიური განვითარება უფრო სუსტია, ვინემ დასავლეთ ევროპის რომელიმე მწიფოსი და პროლეტარიატიც ა დარებით შეუგნებელია, მაგრამ გან სად იბრძოდა თავისუფლ თვის ეს დაჩაგრული კლასი, გორც რუსეთში? და ბევრი თან ნობიც მოიპოვა მან სხვა კლას კი თვითმპყრობელობის დასამხ გარდა ამისა, მთელ ევროპაში ოსმალეთისა, არ იყო ისეთი მთავრობა, როგორც რუსეთის, ნაც ის ეყრდნობოდა სახელმ მხოლოდ დახავსებულ ბიუროკრ და ხიშტებს, რომელშიაც უკვე ყოფილება, დეზორგანიზაცია დებოდა. რუსეთის მთავრობას რიგებელ საზოგადოებრივ წ დეგობაში უხდებოდა არსებობა სი მორალური და ეკონომ გაკოტრება ყველასათვის აშკარა მე 80 წლებამდის რუსეთის თვითმ ბელობის ძალას გლეხობა შეად მაგრამ მალე ეს ძალაც დაეცა, ნაც გლეხი თანდათან ილუპებოდა გორც გლეხი, შიმშილი და უმუშა მისი ხშირი სტუმარი იყო. აბსოლ ზმის გაკოტრებას ამ დროს მოე დასავლეთ ევროპიდან შემოსული ტალიზმი, რომ ამ ნახევრათ ფეოდ ქვეყანაში ნაყოფიერი წარმოება რცელებინა. მაგრამ მსხვილი კაპი მაგიერად ამ წარმოებამ თვითმპყ ლობას მისცა მხოლოდ რევოლ ნური პროლეტარიატი, რომელიც გრათ ჩაება ამ წმინდა ბრძოლაში უმეტეს იმ დროს, როცა მას არ დაკარგვა შეეძლო მონობის ბორ გარდა.

რაც მოხდა მეცხრამეტე საუ ოსმალეთთან ბრძოლის შემდეგ მეორდა 1905 წ. იაპონიის ომ დეგ. თუმცა 1905 წ. რევოლიუც მარცხდა და აბსოლიუტიზმმა დრო გაიმარჯვა, მაგრამ ერთხელ ან ცეცხლს ხალხის გულში განა რა აქრობდა? იგი ნელნელა ძლიერდ

◆ **უცხოეთში მიმავალ სტუდენტთ საყურადღებოდ.** უცხოეთში სტუდენტობა მიემგზავრება სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფი წავა ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, მეორე—4 დეკემბერს და მესამე 11 დეკემბერს. ვისაც პირველად სურს გამგზავრება აუცილებლივ უნდა გამოცხადდეს დღეს, 26 ნოემბერს, დილის 9 საათზე, განათლების სამინისტროში.

◆ **სომხეთის ეროვნულ საბჭოს** თავმჯდომარე თოფჩიანმა და აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ა. ერზენკიანმა 24 ნოემბერს ინახულეს შინაგან საქმეთა მინისტრი ნ. რამიშვილი და ესაუბრეს მას თფილისის ზედმეტ ელემენტებისაგან გაწმენდის, ახალქალაქის მაზრიდან ახალგაზრდათა ჯარში გაწვევისა და ბორჩალოს მაზრის იმ პირთა შეწყნარების შესახებ, რომელთაც ბრალდებათ იქ მომხდარ აჯანყებაში მონაწილეობის მიღება. მინისტრი დაპირდა მათ პასუხის გაცემას საქმესთან გაცნობის შემდეგ.

◆ **ობოლთა დათხოვნა თავშესაფრიდან.** ამერიკის დამხმარე კომიტეტმა განკარგულება მოახდინა, რათა თავშესაფარიდან დაითხოვონ ის ობლები, რომლებიც წლოვანებით აღემატებიან—ვაჟები 14 წ., ქალები 16 წ.

◆ **დატუსაღება.** 23 ნოემბერს პირველი კომისარიატის მილიციამ სახალხო გვარდიელი ონისაშვილის მკვლელობის გამო იჭვით შეიპყრო როსტომ ისაალი-ოღლი და კონსტანტინე შირიაკოვი. ორივე გადაცემულ იქმნენ სისხლის სამართლის მილიციის განკარგულებაში.

— სისხლის სამართლის მილიციის უფროსის განკარგულებით მექრთამეობისათვის დატუსაღებულ იქმნენ ამავე მილიციის წევრნი ალექსანდრე ლისაჩენკო, ვართან ტატულოვი და ჩერქეზოვის ქუჩაზე სასადილოს პატრონი შ. მჭედლიძე, რომელნიც ისინი დანაშაულში გამოტყდენ.

◆ **„ჭლექის წინააღმდეგ მებრძოლი საზოგადოების"** დამფუძნებელი კრება, რომელიც დანიშნული იყო კვირას, 23 ნოემბერს, გადაიდო მომავალ კვირის—30 ნოემბრისათვის.

◆ **სახალხო თეატრი.** დღეს, საღამოს სახალხო სახლთან არსებულ ქართულ წარმოდგენების მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება „მეზობლები", დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი სახალხოა.

◆ **ორთაჭალის დემოკრატიული კლუბის** სცენის მოყვარეთა და გულშემატკივართა საერთო კრება დანიშნულია დღეს, სალ. 6 საათზე საჭიროა ყველა ასეთ ამხანაგების დასწრება.

◆ **კიევის საექიმო ფაკულტეტი** დაასრულეს ექიმის ხარისხით შემდეგმა პირებმა: 1) ნ. ჩხეიძემ, 2) დომ. ვერულაშვილმა, 3) ნიკ. კაპანაძემ, 4) გ. გამყრელიძემ, 5) მირ. თოფჩიშვილმა, 6) კალ. სულაქველიძემ, 7) გ. მამალაძემ, 8) გ. მეძმარიაშვილმა, 9) ნიკ. ბენდელიანმა და 10) აკაკი ჩიჩუამ. პოლიტეხნიკური ინსტიტუტი ინჟენერის ხარისხით—ავალიანმა.

◆ **შრომის ბირჟა.** 19 ნოემბერს შრომის ბირჟის პარიტეტულმა კომიტეტმა დაადგინა: არ იქნეს გადატანილი შრომის ბირჟის უმუშევართა უფასო საჩაიე ქალაქის სასადილოში. იმავე სხდომაზე დაევალა შრომის ბირჟის გამგეს გამომუშავება შრომის ბირჟის ახალი წესდებისა. თფ. ქალ. შრომის ბირჟის ინიციატივით 20 დეკემბრისათვის აპირებენ მოიწვიონ საქართველოს შრომის ბირჟათა საბჭო. განხილულ იქნება შემდეგი კითხვები: 1) შრომის ხელშეკრულება და შრომის ბირჟები, 2) შრომის ბირჟას და პროფესიონალურ კავშირთაერთმანეთ შორის დამოკიდებულება, 3) შრომის ბირჟის დამოკიდებულება ქალაქის თვითმართველობასთან, 4) „შრომის სახლები" და შრომის ბირჟები, 5) წესდება შრომის ბირჟისა, 6) დაარსება საოლქო შრომის ბირჟისა.

◆ **სახელმწიფო თეატრში** დღეს, ვოლ ლევიცკაიას, ინაშვილის, ისეცკის, როგაჩევსკის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება „ევგენი ანეგინი", ხუთშაბათს, 27 ნოემბერს დავიდოვას მონაწილეობით „კარმენი", 29 ნოემბერს „ფაუსტი", კვირას დილით საბავშო ოპერები, საღამოთი „ტრავიატა".

◆ **სახალხო უნივერსიტეტი.** დღეს, საღამოს 6 საათზე, სახალხო უნივერსიტეტის ქართულ განყოფილებებში დანიშნულია შემდეგი მორიგი ლექციები: 5 განყ. (წმ. ნინოს რაიონი), ირემაშვილი „ეკონომიური საკითხები", 2) წერეთელი „ისტორია". 7 განყ. (საბურთალო), შალამბერიძე „ქიმია", 2) ასათიანი „საფრანგეთის რევოლიუცია". 8 განყ. (ავლაბარი) ალშიბაია „ჩვენი ქვეყნის სიმდიდრენი", 2) იოს. ანთაძე „საქართველოს ისტორია".

კრებები

ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, საღამოს სრულ ექვს საათზე, შესდგება თფილისის ქალაქის საბჭოს ს.-დ. ფრაქციის სხდომა. ამხანაგებს სთხოვენ აუცილებლად დაესწრონ.

— 27 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, შესდგება ს. ს. დ. მ. პარტიის მესამე რაიონის კოლექტივის სხდომა. (კახეთის ქ. № 1).

— ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, დანიშნულია კრება საქ სოც. დემოკ. მუშათა პარტიის მე 7 დე რაიონულ კოლექტივისა, ნაშუადღევის 4 საათზე.

— დღეს, სალ. 5 ს., ბიუროს ბინაზე (რუსთველის პრ. № 24) შესდგება საქ. სოც. დემ. მუშ. პარტ. სომხური სექციის კრება.

— ხუთშაბათს, 27 ნოემბერს, ნავთლუღში (კახ. რკ. გზა) 3 საათზე დანიშნულია ს. ს. დ. მ. პ. კოლექტივის ჩვეულებრივ კრება.

— პარასკევს, 28 ნოემბერს, საღამოს 6 საათზე, კახეთის რკ. გზის სამმართველოში დანიშნულია ს. ს. მ. პ. ქვეკოლექტივის ჩვეულებრივი კრება.

— დღეს ნოემ. 26 სალ. 4 ს. არტისტ საზოგად. საკონცერტო დარბაზში თფილისის პოლიტეხნიკურ ინსტიტუტის მამასახლისთა საბჭო იწვევს ყველა ფაკულტეტების სტუდენტთა საერთო არაჩვეულებრივი კრებას.

პროვინციის ქრონიკა.

სენაკის მაზრის სოც.-დემ. ორგანიზაციების ყრილობა გაიხსნა 20 ნოემბერს, რომელსაც დაესწრენ ცენტრ. კომიტეტის წარმომადგენლები ამხ. გრ. ლორთქიფანიძე და მ. ხოჭოლავა, გამოცხადდა 24 ორგანიზაციის წარმომადგენელი; მეტათ ცუდი ამინდების გამო ყრილობას არ დაესწრო 4 ორგანიზაციის დელეგატები. ყრილობა მწყობრათ ჩატარდა. დაიხურა 22 ნოემბერს.

და ბოლოს ისევ იფეთქა მედგარი ძალით. ამ თანამედროვე ევროპის ომმაც გამოააშკარავა რუსეთის აბსოლიუტიზმის ნაკლულევანებანი. ეხლაც განმეორდა ის, რაც მოხდა იაპონიის ომის შემდეგ. გარდა ამისა, უნდა შევნიშნოთ, რომ რუსეთის რევოლიუციას აჩქარებდა იმ პატარა, მაგრამ უფრო კულტურულ ერების პოლიტიკურ-ეკონომიური მდგომარეობა, რომლებიც რუსეთის აბსოლიუტიზმის მონობის ქვეშ ძლიერ პოლიტიკურ შევიწროვებას განიცდიდენ. ავსტრიისა და ოსმალეთის სლავიანთა აჯანყების მიზანი ის იყო, რომ რუსეთის მფარველობის ქვეშ ისინი ეროვნულ დამოუკიდებლობას ეძებდენ, მაგრამ რუსეთს კი უნდოდა ამ ერებზე თვისი დესპოტიზმის გამეფება. ასედაც მოხდა. ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა თავისუფლებით სარგებლობდნენ წვრილი ერები რუსეთში.

ამ რიგად, რუსეთის თვითმპყრობელობას, რაც უფრო დრო გადიოდა, სულს უხუთავდა აგრეთვე წინააღმდეგობანი საერთო ნაციონალურ ინტერესთა მიერ წარმოშობილნი, რადგანაც ის აფერხებდა ქვეყნის ეკონომიურ ცხოვრებას იმ დროს, როცა თავისუფალი განვითარება კაპიტალიზმისა ხდება საზოგადოების აუცილებელ მოთხოვნილებათ. პოლიციის ბატონობა კი სულ არ შეესაბამება კაპიტალისტურ სახელმწიფოს. აქედან აუცილებლობა რევოლიუციის წარმოშობისა, რაც შედეგია ცხოვრების შეურიგებელი წინააღმდეგობის. რევოლიუციის მოძრავი ძალაა ღრმა ანტოგონიზმი საზოგადო ცხოვრების, მისი შემაკავშირებელი ძალა კი კლასობრივი შეგნება. როდესაც ხანგრძლივ, ნაწამებ განვითარების შემდეგ ახალი სოციალური პირობები მომწიფდებიან, მაშინ დაჰბერავს რევოლიუციის ქარიშხალი. ის მედგრად ამსხვრევს ყველა იმ დაბრკოლებათ, რაც უდგება გზაზე ამ ახალ ცხოვრების აყვავებას, რაც იყო მისი ბორკილი მანამდის და რამაც შეჰქმნა საზოგადოებრივ ცხოვრებაში მწვავე უთანასწორობანი, რევოლიუციის აღგზნებული შემოქმედება ჰქმნის სოციალური პროცესის ახალ ქერქს, ახალ ფორმებს, რომლებიც უფრო შეესაბამება ცხოვრების ახალ პირობებს. სოციალური პროცესი შემდეგ უფრო მაღალ განვითარების საფეხურზე დგება. მაგრამ ამით არ თავდება საქმე. ამით მხოლოდ იწყება ახალი ხანა ისტორიული პროცესის, რომელიც პირველ ხანებში უფრო ჰარმონიულია, მაგრამ ბოლოს და ბოლოს ახალ წინააღმდეგობის როლში ეხვევა. ეს წინააღმდეგობა იზრდება, მწვავდება, მისით ძლიერდება პოლიტიკური და იდეური ბრძოლა კლასთა შორის და აქედან ისევ ეძლევა დასაბამი ახალ საზოგადოებრივ გადატრიალებას. გრძელდება იმ უკანასკნელ დიდ რევოლიუციამდე, რომელიც ძირიანად შეცვლის არსებულ სოციალურ მდგომარეობას, მოსპობს ანტოგონიზმით სავსე განვითარებას, გააუქმებს კლასთა ბრძოლას და მათ ნაცვლად დაამყარებს ნამდვილ ჰარმონიულ წყობილებას საყოველთაო შრომის, ძმობა ერთობის და თანასწორობის საფუძველზე. ეს დიადი რევოლიუცია იმისთანავე დიადი სოციალური კრიტიკა-შემოქმედებაა, რომელიც იფეთქებს გრძნეული ძალით აღგზნებულ ხალხის გულში. მისი კრიტიკული მუშაობაა—მოსპობა მწვავე წინააღმდეგობათა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მისი მოქმედებაა—ახალ ფორმების შექმნა კოლექტიურ ცხოვრებისთვის, ორივე კი ერთ მიზანს ემსახურება. ეს მიზანია სრული ჰარმონია კაცობრიობის არსებობისა. მაგრამ ის წვრილი ყოველდღიური ჰარმონია კი არ იქნება, რომელიც სპობს ცოტაოდენ წინააღმდეგობას კერძო ცხოვრებაში და ჰქმნის დროებით შემამსუბუქებელ საშუალებებს საზოგადო ცხოვრებისათვის; არა, ის იქნება ჰარმონია საზოგადო ფორმების და მისი საერთო შინაარსისა.

ალექსანდრა ჭყონია.

(დასასრული იქნება).

ამხ. იოსებ თავზერიძის ხსოვნას

ქვეყნის მოღალატეებმა კიდევ ერთი ძვირფასი მსხვერპლი შეიწირეს. 9 ნოემბერს დ. ჩოხატაურში ბალშევიკ ყაჩაღებთან შეტაკების დროს, გმირულად დაიღუპა ჯერ სრულიად ახალგაზრდა, პოლიტიკურ ასპარეზზე ახლად გამოსული გულწრფელი რევოლიუციონერი, ხიდისთავის თემის თავმჯდომარის ამხანაგი და ჩვენი ენერგიული პარტიული მუშაკი ამხანაგი იოსებ თავზერიძე. ის სულ რამოდენიმე თვეა, რაც თემს ჩაუდგა სათავეში და ამ ცოტა ხნის განმავლობაში ხალხის ღრმა სიყვარული დაიმსახურა. მისი მეცადინეობით ხიდისთავის რაიონი, რომელიც „ბალშევიკების" ცენტრად ითვლებოდა, სრულებით გაწმენდილ იქნა მათგან; ქურდ ყაჩაღებს გასაქანს არ აძლევდა, რაიონში ჯერ არ ნახული წესიერება დამყარდა. მას მოსვენებას არ აძლევენ მუქარის წერილებით, მის მიერ შევიწროებული ყაჩაღები. ზოგი ისე გათავხედდა, რომ ციხიდანაც სწერს: „გამოვალ და გაგისწორდებიო".

ამხ. იოსები მუქარას ყურადღებას არ აქცევდა და ხალხის სამსახურს უფრო ენერგიულად ეწეოდა. მაგრამ აი 9 ნოემბერს „ბალშევიკებმა" ყაჩაღებთან ერთად უკანასკნელად ამოიგმინეს და მოასწრეს ხელში ჩავდოთ დ. ჩოხატაური. ამხ. იოსები გვარდიის შტაბის თავმჯდომარის ამხ. ს. მათითაიშვილთან ერთად მიეშურება ჩოხატაურის დასახსნელად, მაგრამ ბედმა უმტყუნა და მტრისგან გარშემორტყმული ის ბრძოლის ველზე ეცემა. ყაჩაღებმა არ დაინდვეს ცხედარიც კი. მკლავი მოამტვრიეს, თავპირში თოფის კონდახები ჩასცხეს, ათრიეს და ბოლოს სულ ერთიან გაძარცვეს...

ძმაო იოსებ! ხალხის მოღალატენი, შენებრ გმირების წყალობით დამარცხებულნი არიან და ხალხის განაჩენს უცდიან. გრწამდეს, რომ რევოლიუციონური დემოკრატია მოღალატეებს თავვიდან მოიცილებს სამუდამოთ, დაჩირქიანებულ ადგილს ბასრი დანით ამოკვეთს. შენი ნათელი სახე ჩვენს გულში ასვენია. შეჩვენება მათ, ვინც ესე უდროოთ მოგწყვიტა შენს საყვარელს საქმეს, ხალხის სამსახურს!

მშვიდობით! **მეგობარი.**

ქართული შრიფტის შესწორება

ნოემბრის 20 წერა კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მოწვევით შესდგა კრება, რომელსაც დაესწრო სხვა და სხვა კულტურულ განმანათლებელ საზოგადოებათა (26) წარმომადგენელი.

აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ დადგენილ იქნა: 1) ქართული შრიფტის მეცნიერულად, ძირითადად გამომუშავება სასურველია სახელმწიფო უნივერსიტეტმა იკისროს 2) ვინაიდან ახლად შემდგარ ვაჭარ-მრეწველ ფინანსისტთა სააქციონერო ამხანაგობამ უნდა სასწრაფოდ მოაწყოს სამაგალითო სტამბა, რომლის საჭიროება და მოთხოვნილება ამ ჟამად დიდია, და სტამბას თან უნდა ახლდეს დროის შესაფერი შრიფტიც—ამიტომ არჩეულ იქნას მცირე კომისია, რომელმაც უნდა იკისროს არსებულ მასალის მიხედვით ორი კვირის ვადაში ქართული შრიფტის შესწორების პროექტი შეადგინოს და ამ მიზნისთვის მოიწვიოს, საჭიროების მიხედვით მცოდნე პირები სათათბირო ხმით და თავისი მოსაზრება წარმოუდგინოს შემდეგ კრებას. დასასრულ კრება ირჩევს 6 კაცისაგან შემდგარ კომისიას. კომისიაში არჩეულ იქნენ: თ. კიკვაძე, ი. ქეიშვილი, პ. გოთუა, ერ. ტოროტაძე, სოლ. ვადაჭკორია, გ. ნიკოლაძე.

კომისიის არჩევის შემდეგ ე. თაყაიშვილი წინადადებას იძლევა კომისიამ შეიმუშაოს როგორც მხედრული, ისე ხუცური შრიფტებიც, რადგან ეს დიდ საჭიროებას წარმოადგენს ქართული უნივერსიტეტისათვის, რაც მიღებულ იქნა.

უცხოეთი

რუსეთი

დენიკინი და რუსეთის საერთო მთავრობის საკითხი. ყუბანის საკანონმდებლო რადაში ი. მაკარენკომ გააკეთა ვრცელი მოხსენება ყუბანის წარმომადგენელთა და დენიკინს შორის წარმოებულ მოლაპარაკების შესახებ. „პირველ შეხვედრის დროს ვ. ხარლამოვმა გააცნო გენ. დენიკინს დელეგაციის (ყუბანის) შეხედულება საერთო სახელმწიფოებრივ მთავრობის შექმნის შესახებ; ლაპარაკი საოლქო წარმომადგენელთა პალატას შეეხებოდა. გენ. დენიკინმა მოისმინა ეს განცხადება და შემდეგ კატეგორიულათ განაცხადა, რომ არ შეიძლება ლაპარაკი რაიმე საკანონმდებლო ორგანოს შექმნის შესახებ, არ შეიძლება ლაპარაკი საერთოდ სახელმწიფოებრივ მთავრობაზე, ვინაიდან ასეთი უკვე არსებობს და იგი (დენიკინი) ძალაუფლებას არავის დაუთმობს. არსებობს ნაციონალური დიქტატურა და რუსეთიც ამ დიქტატურის ქვეშ უნდა იქნეს აღდგენილი. დიქტატურასთან არსებობს სათათბირო ორგანო, რომელშიაც წევრთა რიცხვის ნახევარი შეიძლება არჩეულ იქნეს მცხოვრებლების მიერ, ხოლო ნახევარს ნიშნავს დიქტატორი. მინისტრები დიქტატორის მიერ ინიშნებიან და მხოლოდ უკანასკნელის წინაშე აგებენ პასუხს. ნაციონალურმა დიქტატურამ უნდა იარსებოს, ალბათ, ორი წელი, რის შემდეგ შესაძლებელი იქნება ნორმალური მუშაობა.

მეორე თათბირი გენ. დენიკინთან დელეგაციას ჰქონდა 15 აგვისტოს.

ხარლამოვმა გააცნო დენიკინს საკითხი დონის ყაზახობის ავტონომიურ უფლებების შესახებ. დენიკინმა განაცხადა, რომ მას არ შეუძლია დეტალურათ განიხილოს ეს საკითხი, მაგრამ პრინციპიალურათ იგი ამ უფლებების წინააღმდეგი არ არის; მისთვის გაუგებარია მხოლოდ საკითხი ჯარის შესახებ. ხარლამოვმა განმარტა ეს საკითხი და სხვათა შორის, იხმარა სიტყვები „ავტონომიური ჯარი". ამ სიტყვებმა დიდი გავლენა მოახდინეს დენიკინზე და მან წამოიძახა: ვინც ავტონომიურ ჯარზე ლაპარაკობს, იგი გამცემი და მოღალატეა. ხარლამოვმა ამის შესახებ პროტესტი განაცხადა. დენიკინმა განაცხადა, რომ მას შეუძლია დაუშვას განსკუთრებული ჯარის არსებობა, მაგრამ შეუძლებელია ლაპარაკი ცალკე ყაზახთა ჯარზე. მოლაპარაკების მეორე ნაწილი სამხრეთ რუსეთის სახელმწიფოებრივ მოწყობას ეხებოდა; ამის შესახებ დენიკინმა განაცხადა, რომ სანამ იგი ცოცხალია, არ შეუძლია დასთანხმდეს რაიმე საკანონმდებლო ორგანოს შექმნაზე; მას არ სურს მრავალი „სოვდეპების ხელში ყოფნა და მომხრეა მხოლოდ სათათბირო ორგანოსი. შემდეგ დელეგაციას აინტერესებდა საკითხი იმის შესახებ, თუ რამდენ ხანს იარსებებდა სათათბირო ორგანო და არის თუ არა იმედი, რომ მოსკოვის აღების შემდეგ მოწვეული იქნება საკანონმდებლო ორგანო. ამაზე გენერალმა განაცხადა, რომ იგი არ დაუშვებს თავისი უფლებების შეზღუდვას მანამდე, სანამ არ იქნება შესაძლებელი დამფუძნებელი კრების მოწვევა. ასეთ ნათელ პასუხის მიღების შემდეგ განაგრძობს მაკარენკო. ჩვენ არ შეგვეძლო მთავრობის შესაქმნელათ მუშაობის გაგრძელებაო.

მობილიზაცია მოხალისეთა სამეფოში. გენ. დენიკინის ბრძანების თანახმათ პეტროვსკში და აგრეთვე მთელ მოხალისეთა „სამფლობელოში" სწარმოებს მობილიზაცია მასწავლებელთა და მოწაფეთა, რომლებიც განთავისუფლდენ ჯარში სამსახურისაგან 21 სექტემბერს. სწარმოებს ამის გარდა მოწაფეთა მობილიზაცია, რომელთაც ჯერ კიდევ არ უმსახურიათ ჯარში.

საფრანგეთი.

ინგლისს საფრანგეთის ურთიერთობა. ინგლის საფრანგეთ შორის ურთიერთობა თანდათან რთულდება. განხეთქილებას იწვევს ოსმალეთის, რუსეთის და სპარსეთის საკითხი. ევროპიული პრესა ფიქრობს, რომ შესაძლებელია მომავალში განხეთქილების გაღრმავება ინგლის საფრანგეთ შორის, ამავე დროს ეს პრესა აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ინგლის-ამერიკას შორის უმთავრეს საკითხებში სოლიდარობა არსებობსო. საფრანგეთის პრესა მოითხოვს, რომ კავკასიაში გაგზავნილ იქნას სპეციალური მისია საფრანგეთის გავლენის განსამტკიცებლათ.

საფრანგეთის ფინანსიური მდგომარეობა. საერთაშორისო სავაჭრო პოლიტიკის შესახებ საკითხის განხილვის დროს საზავო კონფერენციაზე ბარონ დიუმარეს შემდეგი განუცხადებია: საფრანგეთის ნაციონალური ვალი ამ ჟამათ ორას მილიარდ ფრანკს უდრის; საგარეო ვალი კი უდრის 30 მილიარდ ფრანკს. სამხედრო ვალის დასაფარავად დიუმარეს საჭიროთ მიაჩნია გადასახადთა ტარიფის 50 პროცენტით გადიდება. საფრანგეთი საკვებ მასალების შიმშილს განიცდის; 1920 წელს საჭირო იქნება საფრანგეთისათვის 750 მილ. ფრანკათ ღირებულ საკვებ მასალების შემოტანა.

ინგლისი

ინგლისის საგარეო პოლიტიკა. საგარეო საქმეთა მინისტრის მ—რ ბალფურის გადადგომისა და მის პოსტზე ლორდ კერზონის დანიშვნის შესახებ გაზ. „ტაიმს" ი აღნიშნავს უკანასკნელის ამ დიდ საპასუხისმგებლო პოსტისთვის მოუმზადებლობას. მთავარი უბედურება გაზეთის აზრით ამაში კი არ არის, არამედ იმაში, რომ „არავინ იცის, თუ როგორ მდგომარეობაშია ამ ჟამათ ინგლისის პოლიტიკა, რომელიც მთვრალ კაცივით იკვლევს თავის გზას და იხრება ხან მარჯვნით, ხან მარცხნით. მეთოდები და კანონები, რაზედაც იგი (პოლიტიკა) ეყრდნობა, მხოლოდ შემთხვევითი ხასიათისანი არიან. გაზეთის სიტყვით, ახალმა მინისტრმა სათანადო რეფორმების გზით უნდა გააჯანსაღოს ეს მერყევი პოლიტიკა და ისიც მხოლოდ შემდეგ მოიპოვებს მასსის სიმპატიას.

შვეიცარია.

საგიტაციო თანხა. ლოზანაში დაატუსაღეს რამოდენიმე უცნობი პირი. რომელნიც ცდილობდენ საფრანგეთში დიდი თანხის გატანას. მათ აღმოაჩნდათ საბუთები, საიდანაც ირკვევა, რომ ეს ფულები მიჰქონდათ ბალშევიკური პროპაგანდის მოსაწყობათ საფრანგეთში.

ბულგარეთი

ახალი კაბინეტი. ბულგარეთში შესდგა ახალი კაბინეტი, რომელმაც ზავი უნდა შეკრას ანტანტასთან. თავმჯდომარე და სამხედრო მინისტრი—სტამბულოვსი, კაალოვი—განათლების, ტერლაკოვი—გზათა, დიმიტროვი—შინაგან საქმეთა, მაჯაროვი—საგარეო საქმეთა, ბუროვი—ვაჭრობა მრეწველობის. უკანასკნელი ორი ზომიერი სოციალისტია. იუსტიციის და შრომის სამინისტროები დემოკრატების შორის განაწილდება. ფინანსთა მინისტრის პორტფელს პროგრესისტებს უთმობენ. კაბინეტში ოთხი აგრარი შევა. ტედოროვი დარჩება ბულგარეთის საზავო დელეგაციის თავმჯდომარეთ.

ავსტრია

ვალი. ავსტრიის სახელმწიფო ვალი 42 მილიარდს უდრის; დეფიციტი—7 მილიარდს.

ქართლისაკენ

(დღიურები)

17 ნოემბერი.

დილის 9 საათზე უჯარეთის ხეობიდან გამოცხადდა სამი პირისაგან შემდგარი დელეგაცია. რაზმის უფროსის გ. ხიმშიაშვილის შეკითხვაზე,—თუ რისთვის მოვიდნენ და ან რას იტყვიან,—დელეგაციამ შემდეგი განაცხადა: მიზეზი ჩვენი ჩამოსვლისა არის შემდეგი: ჩვენში ამ ბოლო ხანებში ყაჩაღები ბუხრიკიძე, ლომიძე, ბიჩიკაშვილი, გიკაშვილი და სხვები, რომელთაც თან ეხლათ ყაჩაღთა რაზმი, მოგვიწოდებდენ „ბალშევიკების" სახელით გავყოლოდით მათ ბორჯომის აღებათ და შემდეგი მოქმედების განსავითარებლად. ისინი ხალხს უხსნიდენ: თფილისი, გორი აღებულია და მთავრობა ჩამოგდებულიაო.

ჩვენ ვფიქრობდით: ჩვენ არ შეგვიძლია გავყვეთ ისეთ „ბალშევიკებს", რომელთა რაზმი შესდგება ყაჩაღებისაგან და ქურდებისაგანო.

ყაჩაღ ბალშევიკთა ყურადღებას იქცევდა მხოლოდ ადგილობრივი ავარა ხალხი, რომელსაც შრომა ეზარებათ, ავაზაკობაში ატარებენ დროს.

ამ რამდენიმე ხნის წინეთ ჩვენში მოვიდა აგრეთვე ჰაიდაროვი, რომელსაც მოჰყვა ერთი ქართველი და ერთიც სომეხი. ჰაიდაროვმა ჩვენ გამოსვლისაკენ მოგვიწოდა და გვითხრა, თუ წინააღმდეგობას გასწევთ, დაისჯებითო.

ეხლა ჩვენი მიზანია წამოგიდეს მცირე რაზმი მთავრობისა, რომელსაც ჩავაბარებთ [illegible] ხელში ჩასაგდებათ [illegible].

დღეიდან [illegible] გი ამიერიდან დაცული იქნება და ყველაფერი ასრულებულიო.

ნაშუადღევის 4 საათზე სასაფლაოსაკენ გაასვენეს ამხ. საშა ჩიხლაძე, გვარდიის რწმუნებული, რომელიც ატენთან შეტაკების დროს დაიჭრა და გარდაიცვალა. დასაფლავებას დაესწრო ჯარი და გვარდია, დიდძალი ხალხი. გამოსათხოვარი სიტყვები წარმოსთქვეს ამხანაგებმა.

საღამოს ცნობა მივიღეთ, რომ კომუნისტ ყაჩაღებმა ზღუდრის საზოგადოებაში ზ. შავლოხაშვილს და კოლა გახაშვილს, რომლებმაც მათ უარი განაცხადეს გაყოლაზე, თვალები ამოსთხარეს და დაასახიჩრეს. თფილისელი, რკინის მუშა, მოხუცი ნიკოლოზ შატბერაშვილი კი, რომელიც შემთხვევით სოფლათ ჩამოვიდა, დაიჭირეს, გაჩხრიკეს, რადგანაც მას აღმოაჩნდა საქ. ს. დ. მ. პ. წევრობის მოწმობა, გაძარცვეს, აწამეს, მოჰკლეს და უპატრონოდ გდია ტყეშიო.

საღამოს 6 საათზე ზღუდრის საზოგადოების დელეგაცია მოვიდა, რომელმაც ზემო მოყვანილი ცნობები დაადასტურა და შემდეგი მოგვითხრო: ჩვენ, ბატონებო, აგვრიეს, მოვიდენ ჩვენში ვილაცები, კომუნისტები ვართო, შეუერთდნენ ყაჩაღები და ვინ იცის, რას არ სჩადიოდენ. ხალხს ძალით აგროვებდენ და სხვა.

ჩვენ ვითხოვთ ეხლა თუ რამე შეცდომაა გასწორდება, მხოლოდ მეთაურებს და ყაჩაღებს არც ჩვენ დავინდობთო.

რაზმის უფროსმა, თანახმათ რესპუბლიკის მთავრობის ბრძანებისა, უბრძანა: რადგანაც თქვენს საზოგადოებაში დაირღვა წესრიგი, ჩვენ ვმოქმედობთ თანახმათ სამხედრო მოქმედებისა და უნდა დაუყონებლივ აასრულოთ: 1) ყოველგვარი იარაღი ორი დღის განმავლობაში უნდა ჩაგვაბაროთ, 2) ყაჩაღები, ავაზაკები და მეთაურები უნდა გასცეთ და დაიჭიროთ. და 3) ყოველგვარი ბრძანება უნდა შეასრულონ კომისრებმა, ხალხის არჩეულმა პირებმა და ისინი, ვინც იარაღს დამალავს, ყაჩაღს და ავაზაკს შეინახავს, დასჯილი იქნება საგანგებო წესებითო.

8 საათზე სწორი ცნობები მივიღეთ არსენა ლომიძის მოკვლის შესახებ, მკვლელობაში მონაწილეთა მიერ.

არსენა ლომიძეს თან ეხლა ყაჩაღი ბეკოშვილი და ვილაცა უცნობი, რომელიც უწოდებდა თავს კომუნისტს.

მათ მოაგროვეს 300 დე შეიარაღებული, რომელშიაც შედიოდენ ქურდები, ყაჩაღები, დეზერტირები და ძალით გაწვეული პირები. შეიარაღებულებმა მოაგროვეს ძალით ხალხი 1000 ზე მეტი და 13 ნოემბერს წაიწიეს ხაშურისაკენ. ისინი ხალხს არწმუნებდენ, რომ ხაშურში ჯარი და გვარდია ჩვენს მხარეზეა და არ გვესვრიან, ჩვენ შემოგვიერთდებიანო.

როცა მათ გაიგეს, რომ ხცისში გვარდიამ ბრბო დაამარცხა და გვარდია იბრძვის მათ წინააღმდეგ, მაშინვე რყევა დაიწყო და ხალხი თანდათან გაიქცა.

როცა ლომიძემ და მისმა ამხანაგებმა შეატყვეს, რომ საქმე გლახათ არისო, მაშინ გ. გულიაშვილმა და რამოდენიმე ყოფილმა რაზმელებმა, რაკი დაინახეს, ხალხი ყვიროდა, მოგვატყუეს და თვითონ გარბიანო, დაედევნენ არსენას და მოჰკლეს არ. ლომიძე, ბეკოშვილი და მესამე უცნობი.

ბრბო გაიფანტა, ზოგიერთმა ყაჩაღებმა გაქცევით უშველა თავს და ასე გათავდა მათი მოძრაობა.

ობოლი მგზავრი.

საქართ. ახალგაზ. მარქს. მეორე კონფერენცია

23 ნოემბერს, საღამოს 5 ს. თფილისში, სახალხო უნივერსიტეტის შენობაში გაიხსნა საქართველოს ახალგაზ. მარქსისტთა მეორე თავისუფალი კონფერენცია, რომელიც გახსნა ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ს. მიხეილიძემ. კონფერენციაზე ჯერ ჯერობით გამოცხადდა 39 დელეგატი. საქართველოს შემდეგ კუთხეებიდან: ოზურგეთიდან, ლანჩხუთიდან, ჩოხატაურიდან, ხიდისთავიდან, სამებიდან, ფოთიდან, სენაკიდან, აბაშიდან, ბათუმიდან, სამტრედიიდან, ხონიდან, ქუთაისიდან, ზესტაფონიდან, ჭიათურიდან, საგარეჯოდან და თფილისის ექვს რაიონიდან. არჩეულ იქნა პრეზიდიუმი, თავმჯდომარე ს. მიხეილიძე, თავმჯდ. ამხანაგები: მ. კვატაშიძე და ამხ. თარაიანი, მდივნები: არტ. ჩიჩუა და ს. გვასალია. არჩეულ იქნა აგრეთვე სამანდატო კომისია, რომელშიაც შედის 4 კაცი: კ. ჭიჭინაძე, თაყაიშვილი და წულაძე. დღის წესრიგში განსახილველია შემდეგი კითხვები: 1) მოხსენებები ადგილებიდან, 2) ცენტრალური კომი-

ტეტის მოხსენება. ა) საერთო საკითხი, ბ) ჟურნალის საკითხი, 3) საკანტროლო კომისიის მოხსენება, 4) პოლიტიკური მომენტი, 5) მეცადინეობის მოწყობა ორგანიზაციებში და მისი გეგმა, 6) წესდების შესახებ და 7) მიმდინარე კითხვები. სანამ დღის წესრიგის განხილვას შეუდგებოდა, კრებამ დაადგინა მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ს. დ. პარტიის ბელადს, მცხოვან მასწავლებელს, ნ. ნ. ჟორდანიას. პირველ კრებაზე მოესწრო მხოლოდ პირველი კითხვის გარჩევა—მოხსენებები ადგილებიდან. მოხსენებებიდან გამოირკვა, რომ საქართველოს ახალგაზ. მარქსისტთა ორგანიზაციები აერთებს 3000 წევრს მუშებსა და მოწაფეებს. აგრეთვე გამოირკვა მოხსენებებიდან, რომ მიუხედავათ სხვადასხვა ობიექტიურ დაბრკოლებებისა, ახალგაზრდათა წრეებში სამაგალითო, ცოცხალი მუშაობა, რაც კარგ იმედებს იძლევა მუშათა კლასისთვის მომავალში. კრების დახურვის წინ დარბაზში შემოსულ ამხ. ჰაიკ აზატიანს მთელი კონფერენცია მხურვალე ტაშით შეხვდა. ამხ. აზატიანი მგრძნობიარე სიტყვით მიესალმა კონფერენციას და უსურვა მას ნაყოფიერი მუშაობა. კრება დაიხურა ღამის 9 ნახ. ს.

არტ. ოფუთელი.

სახალხო სახლი

(თფილისის თვითმართველობის საყურადღებოთ).

დღეს სახალხო სახლი მეტათ უნუგეშო მდგომარეობაშია უპატრონობის გამო. და ეს უპატრონობა იმით არის გამოწვეული, რომ სახალხო სახლის ეხლანდელი გამგე სხვა საქმეებით არის დატვირთული და სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს მას.

სახალხო სახლში კი ბევრი რამ არის გასაკეთებელი როგორც ვიცით, შარშან, მაზუთის უქონლობის გამო, სახალხო სახლი არ გამთბარა,—სცადეს ნაშირით გათბობა და ამ მიზნით გადააკეთეს ერთი ფეჩი, მაგრამ არ გამოდგა. ზამთარი დადგა, სახალხო სახლი უნდა თბებოდეს ეხლა, მით უმეტეს, წელს მაზუთიცა გვაქვს, ფეჩი კი ჯერაც გაუკეთებელია,—ბევრ ადგილას სახალხო სახლში წყალი ჩამოდის; ზოგ ადგილას კედლები მთლად დასველებულია და თანდათანობით იშლება და თუ ამას დროზე არ მიაქციეს შესაფერისი ყურადღება, მომავალში ძნელი იქნება და მეტად ძვირიც დაგვიჯდება მისი განახლება. სახალხო სახლის რამოდენიმე მილიონად ღირებული გარდეროპი განთქმულია მთელ თფილისში და თუ მას წყალი ჩაუვიდა, არა მგონია ამ ზარალის ანაზღაურება ადვილი დარჩეს შემდეგში.

არის ბევრი სხვა ქონებაც, რომელიც ეზოში ყრია და წვიმისაგან ლპება, მაგ. სცენის სკამები და სხვა.

და თუ ყველა ამას სათანადო ყურადღებას ვერ აქცევს ეხლანდელი გამგე, ეს იმიტომ კი არა, თითქოს მას არ შეეძლოს ამის მოგვარება, პირიქით, ძველი გამგისაგან აშლილი საქმე მშვენივრად მოაწყო; არ არის არცერთი ნივთი სახალხო სახლში, რომ იგი სათანადო ნომრით შეტანილი არ იყოს წიგნებში, რომ დღევანდელი გამგე სხვა საქმით არ იყოს დატვირთული.

ჩვენ ვამბობთ, სახალხო სახლის გამგის ადგილი არ არის სასხვათაშორისო ადგილი და მაშასადამე, სახლის გამგე თავისუფალი უნდა იყოს სხვა ყოველგვარი საქმეებისაგან.

აი ამიტომ ქალაქმა რაც შეიძლება ჩქარა უნდა გამონახოს ასეთი კაცი, წინააღმდეგ შემთხვევაში, სახალხო სახლი ძალიან ჩქარა დაიღუპება.

ბებერი მუშა.

რკინის გზაზე

მოძრაობის უფროსის საყურადღებოდ. 9 ნოემბერს, სად. ხაშურში ჩამოდგა თფილისიდან მომავალი მატ. № 3; არ გასულა რამდენიმე წუთი, რომ მატარებლის ერთმა კონდუქტორმა და რევიზორმა ბ. კანდელაკმა, სტაცეს ხელი ბაქანზე მდგომ ერთ მოხუცს (55 წლის) და მუჯლუგუნებით მიათრიეს სადგურის უფროს მორიგის ოთახში, მიუხედავად მოხუცის ცრემლიანი თვალებით ხვეწნა მუდარისა, რომ აეხსნათ მისთვის, თუ რა უბედურება დაატყდა თავს და რათ ან სად მიათრევენ, ის მაინც შეაგდეს სამორიგეო ოთახში. რევიზორმა ბ. კანდელაკმა მოხუცი ჩააბარა სადგურის უფროსს მორიგეს, როგორც სად. გორიდან მომავალი უბილეთო მგზავრი. არავითარმა მოხუცის ახსნა განმარტებამ და მტკიცებამ, რომ ის ამ წუთში სურამიდან ფეხით მოვიდა და რომ დღეს სრულებით არ მჯდარა არც ერთ მატარებელში, რევიზორზე არ გასჭრა, რამაც მაყურებლებში საშინელი აღელვება გამოიწვია და ჩვენს მტრებს მიეცა სადემაგოგიო მასალა;

ჩვეულებრივსასამებრ მოხუცი ჩააბარეს რკ. გზის მილიციას. გენერალ-გუბერნატორის სავალდებულო დადგენილების ძალით, როგორც უბილეთო მგზავრს, მოხუცს უნდა გადაეხადა ჯარიმა 3000 მანეთი, ან უნდა ჩამჯდარიყო საპატიმროში სამი თვე, რომ ამ საქმეში არ ჩარეულიყო ხაშურის რაიონის რკ. გზის მილიციის უფროსი გოგუა, რომელმაც მოწმეების დაკითხვით გამოარკვია მოხუცის სრული სიმართლე. რამოდენიმე მოწმეების ჩვენებით დამტკიცდა, რომ ხსენებული მოხუცი მატარებელ № 3 ხაშურში მოსვლამდე, უნახავთ ფეხით მომავალი სურამიდან ხაშურისაკენ. მგონი ამ საქმეზე სათანადო ოქმიც კი შედგა და მოხუციც გაანთავისუფლეს.

საკითხავია: 1) რა უფლება ჰქონდა ბ. კანდელაკს დაეტუსაღებია მოქალაქე იქ, სადაც საამისო ადმინისტრაცია არის; 2) მოეღება თუ არა ბოლო რკ. გზაზე ზოგიერთ აგენტების ასეთ უპასუხისმგებლობას, რომელმაც სრულებით უდანაშაულო ადამიანს კინაღამ საპატიმროში ამოაყოფინა თავი.

ვალიკო.

ნატანები. რკ. გზ. სადგ. ნატანები ბათუმის დაცემის შემდეგ თვალსაჩინო პუნქტათ იქნა. და ამიტომ მეტ ყურადღებას მოითხოვს ვისგანაც ჯერ არს.

17 ნოემბერს, ამ სადგურზე მორიგეობდა მიხაკო ბარამიძე, ნაშუადღევს საბარგო მატარებელმა № 100 ამოიარა ბათუმიდან, სომხეთში გასაგზავნ საქონლით, სადგურის მორიგემ მემანქანეს დაავალა აუცილებელი საჭირო საქმე, რაიც შეეხებოდა ვაგონის გადაყენებას; მემანქანე ზაპლოტნიკოვმა ეს დავალება იუკადრისა და გაჯავრებით დაუყვირა: მე არაფერი ვიცი შენი დავალების. ამ წუთში კვერთხი მომეცი და გამიშვი, თორემ... მე ამერიკის და ინგლისის სახელმწიფოს საქონელი მიმაქვს და შენ თუ არ იცი, მე გასწავლით! მისი სიტყვიდან ისე ირკვეოდა, რომ რადგან დიდი ბრიტანეთის და ამერიკის საქონელი მიჰქონდა, საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სადგურების მორიგეები და უფროსები მემანქანეს უნდა ემორჩილებოდნენ. მემანქანის მუქარის დროს ამერიკის კამენდანტი ვილაც ხერხეულიძე წამოესწრო, იმანაც რაც შეიძლებოდა ამაყურათ ბრძანება მისცა მორიგეს,—რომ მატარებელი ამ წუთში გაუშვიო. ხომ იცი მე ვინც ვარო? ამ რიგათ სადგურის ტეხნიკურ მოქმედებას მემანქანემ და კამენდანტმა ანგარიში არ გაუწიეს. მორიგე იძულებული შეიქნა ძლევამოსილ კამენდანტს და მემანქანეს დამორჩილებოდა უსიამოვნების თავიდან ასაცილებლათ.

ჰხედავ რა ასეთ არევ დარევას ხშირათ, ძალა-უნებურათ თავს ეკითხები: ნუ თუ არ არსებობს შესაფერი ინსტრუქცია, რომ ზაპლოტნიკოვ-ხერხეულიძეების ყოყლოჩინობას ბოლო მოეღოს ერთხელ და სამუდამოთ. იქნება არსებობს კიდეც ასეთი ინსტრუქცია, მაგრამ ჩვენი რკინის გზის აგენტები მას ვერ ხმარობენ ისე, როგორც ეს საჭიროა? ესეც შესაძლებელია!..

მეთვალყურე.

ს.-დ. პარტიაში

თფილისი. 18 ნოემბერს, შესდგა საქ. სოც. დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტის სხდომა. დაესწრო სრული შემადგენლობა. სიამოვნებით უნდა აღინიშნოს, რომ კომიტეტის სხდომებს ამ ბოლო ხანებში იშვიათად თუ ვინმე აკლდება. სხდომაც თავის დროზე—სრულ ექვს საათზე იხსნება. ვუსურვებთ, სხვა ჩვენ ორგანიზაციებსაც შემოეღოთ ასეთი წესები, რათა შრომაც ნაყოფიერი ყოფილიყოს და დროც ნაკლები დაეხარჯოთ.

დღის წესრიგში იყო კითხვები: პრეზიდიუმის წევრის არჩევა, ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება თფილისის გაწმენდაზე, ცენ. კომიტეტის დადგენილება ერთდროულ გადასახადის შესახებ, მოხსენებები, ლექციები.

პრეზიდიუმის წევრათ ნაცვლად გასულ ამხანაგისა არჩეულ იქნა ილ. გიორგაძე.

კომიტეტმა მოისმინა ქალაქის გამგეობის გადაწყვეტილება თფილისის გაწმენდის შესახებ, მოიწონა ეს ნაბიჯი და თავის მხრივ გამოიტანა დადგენილება მოიწვიოს რაიონებმა კრებები და გააცნონ ფართო მასსას ის მიზეზები, რომ ლებიც აიძულებდა ქალაქის გამგეობას და დამფუძნებელ კრებას მიემართათ ასეთ ზომებისათვის. აგრეთვე დაადგინეს მიმართონ ჩვენ პრესას, რათა ნაკლები გასავალი ქონდეს იმ პროვოკაციას, რომელსაც უკვე მიმართეს რესპუბლიკის მტრებმა ამ დადგენილების გამო, რომ მათ მოათავსონ რამოდენიმე წერილი ამ საგანზე. ეძლევა წინადადება რაიონებს გამართონ ლექციები ფინანსიურ და ეკონომიურ კითხვებზე.

კომიტეტმა გაარჩია ცენტრალური კომიტეტის დადგენილება ორგანიზაციების ფინანსიურათ მოსაღონიერებლათ შეწერილ იქნეს ყველა პარტიის წევრზე ერთდროული გადასახადი. კომიტეტი ეთანხმება ამ დადგენილებას და სასურველ ნორმათ სთვლის 10 მანეთს თითო წევრზე.

გაკეთდა მოხსენება ახლათ გ წეულ ხარჯებზე. თფილისის კომიტეტის მიერ ყველა დამზადებულ საგნებზე ფასების განაწილება დაევალა პრეზიდიუმს დღევანდელ ბაზრის ფასების მიხედვით. ცენტრალურ კომიტეტის წინადადებაზე, რომ ამხანაგი მიშა წივწივაძე გაიგზავნოს პარტიულ მუშაობის საწარმოებლათ გორში—უარყოფილ იქნა იმ მოსაზრებით, რომ წივწივაძე მუშაობს ისეთ რაიონში, სადაც დღევანდელ პირობებში მისი იქ ყოფნა აუცილებელია. გაკეთდა მოხსენება მომარაგების კომიტეტის რეორგანიზაციის და პარტიულ კვირის მოწყობის შესახებ. X.

ხაშურის ორგ. ს. ს. დ. მ. პ. კომიტეტის გაფართოებულმა კრებამ 21 ნოემბერს, რომელსაც დაესწრენ კომიტეტის წევრებს გარდა ამხ. ანანია სალუქვაძე, ვალ. გოგუაძე, მიშა ლაშქარიშვილი და სხვა მოწინავე ამხანაგები. მოისმინა რა მოხსენება ამხ. სალუქვაძისა გორის მაზრის გამოსვლების შესახებ, კრება აღნიშნავს, რომ გორის მაზრაში ანარქიის გაძლიერებას ასულდგმულებდა ორი გარემოება: 1) არც ერთი სახელმწიფოებრივი და საზოგადო ორგანიზაციები არ იდგა თავის მოწოდების სიმაღლეზედ, განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას ადმინისტრაციაზედ და მის აპარატზედ და 2) სასამართლოები არ ასრულებდნენ თავიანთ დანიშნულებას.

რათა გორის მაზრაში მდგომარეობა გამოკეთებულ იქმნეს, კრებას საჭიროთ მიაჩნია, დაუყონებლივ გატარდეს ცხოვრებაში შემდეგი ზომები: 1) მიღებულ იქმნეს საჩქაროთ ზომები, რომ დაუყონებლივ აღსდგეს, სადაც შესაძლებელია, ჩვენი პარტიული ორგანიზაციები. 2) დაუყონებლივ გაწმენდილ იქნას არა სასურველი ელემენტებისაგან როგორც პარტიული, ისე გვარდიის ორგანიზაციები. 3) შეიქნას კადრი პროპაგანდისტებისა სოფელში პარტიული მუშაობის საწარმოებლათ. 4) დაუყონებლივ გამოწვეულ იქნას გორის მაზრიდან არჩეული დამფუძნებელი კრების დეპუტატები თავიანთი საარჩევნო უბნების შემოსავლელათ, 5) მიღებულ იქნას ზომები, რათა დაუყონებლივ შეიქმნეს მტკიცე ადმინისტრაციული აპარატი გორის მაზრაში, 6) მიეცეს წინადადება გორის სამაზრო სოც. დემოკრ. კომიტეტის პრეზიდიუმს, რომ მან საჩქაროთ მოიწვიოს სამაზრო კომიტეტის და გორის მაზრაში არსებულ ორგანიზაციების ჩვენი ფრაქციის წარმომადგენლების არა ჩვეულებრივი ყრილობა, რომელიც იკისრებს ზემოდ აღნიშნულ მუხლების გატარებას ცხოვრებაში. X.

სენაკიდან ცენტრალურმა კომიტეტმა შემდეგი დეპეშა მიიღო: სენაკის მაზრის სოციალდემოკრატიული წარმომადგენელთა ყრილობა გულ მხურვალეთა და ამხანაგურის გრძნობით ესალმება საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიას და მის ხელმძღვანელ ორგანოს, ცენტრალურ კომიტეტს. ყრილობა ხედავს და აფასებს ცეკას იმ ნაბიჯებს, დაუღალავ შრომასა და ენერგიას, რომელსაც ის ეწევა ჩვენი პარტიის, პროლეტარიატის და დემოკრატიის გასათვითცნობიერებლათ, განსამტკიცებლათ და დიდი მომავლის შესათვისებლათ. დღეს, საქართველოს სოციალდემოკრატიული პარტია შედის სოც. ინტერნაციონალში, როგორც ერთი წევრი; ყრილობას ღრმათ სწამს, რომ ჩვენი პარტია დაუმტკიცებს საერთაშორისო მუშათა კლასს, რომ მან იცის ბრძოლის წარმოება, უფლების მოპოვება განმტკიცება. განაგრძეთ ამხანაგებო ისევ ძველებურათ მუშაობა. ჩვენს მაზრაში მთელი ჩვენი პარტიის აპარატი, ამხანაგებო, ერთგული დარაჯია მუშათა კლასის იდეალების. გვწამს, რომ გამარჯვება ახლოსაა. ყრილობის თავმჯდომარე მალანია.

მუშათა შორის

ქუთაისი. საქართველოს რესპუბლიკის ყველა ერობათა თანამშრომლების პროფესიონალურ კავშირებს შემდეგი მოწოდება დაეგზავნა:

ქუთაისის სამაზრო ერობის თანამშრომელთა პროფესიონალური კავშირის გამგეობა, თანახმად კავშირის წევრთა საზოგადო კრების დადგენილებისა და დასავლეთ საქართველოს ზოგიერთ ერობების კავშირთა მომართვისა, 14 დეკემბერს 1919 წ. ქალ. თფილისში, თფილისის სამაზრო ერობის ბინაზე იწვევს საქართველოს რესპუბლიკის ერობათა კავშირების წარმომადგენელთა კონფერენციას.

კონფერენციის დანიშნულებაა, პირველად ყოვლისა, არის ერობათა კავშირების ცენტრალურ ბიუროს არჩევა, რომელიც ხელმძღვანელობას გაუწევს რესპუბლიკის ერობების თანამშრომელთა ნორჩ კავშირებს პრინციპიალურ ხასიათის და დიდ მნიშვნელოვან საკითხების მოგვარება-მოწესრიგებაში. გარდა ამისა, წარმომადგენლების კონფერენცია განიხილავს და გადაწყვეტს იმ საჭირბოროტო კითხვებს, რომლებიც წინ უდგას ყველა სამაზრო ერობების კავშირებს და რომელთა გადაწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ მთელი რესპუბლიკის მასშტაბით.

მაგალითად ისეთი კითხვები, როგორიც არის პენსიის საკითხი, დამხმარე ფონდის შექმნა, თანამშრომლების მდგომარეობის გამორკვევა, მოსამსახურეების დაზღვევა და სხვა, უნდა გადაიჭრას მხოლოდ ყველა ერობათა კავშირების წარმომადგენელთა ყრილობაზე, რომ ისინი მისაღები იქნეს ყველასთვის.

გაცნობებთ რა ამას, ქუთაისის სამაზრო ერობის პროფესიონალური კავშირის გამგეობა მოგიწოდებთ აირჩიოთ თქვენი წარმომადგენლები (ორ ორი წარმომადგენელი თვითეულ ერობიდან) და გამოგზავნოთ თფილისში ზემოხსენებულ დროს ე. ი. 14 დეკემბერს. თუ ვინიცობაა რომელიმე სამაზრო ერობის კავშირისათვის მიუღებელი იქმნა ჩვენ მიერ დანიშნული დრო ან ადგილი მას ვთხოვთ საჩქაროდ გვაცნობოს თავისი აზრი პრესის საშუალებით ან დეპეშით, რომ შეძლება მოგვეცეს დროზე განვახორციელოთ ეს ფრიად სერიოზული და დიდი საქმე დაწვრილებით დღიურ წესრიგს შეიმუშავებს თვით კონფერენცია.

ქუთაისის სამაზრო ერობის პროფესიონალური კავშირის გამგეობა.

თფილისი. 19 ნოემბერს შესდგა თფ. თვითმართველობის და ქალაქთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა დელეგატთა შეერთებული კრება.

ბოლშევიკების გამოსვლების შესახებ მოხსენებას აკეთებს ამხ. ერ. თალაკვაძე. მიღებულ იქნა შემდეგი რეზოლიუცია: „მიიღო რა მხედველობაში, რომ ბოლშევიკების ბატონობა მოასწავებს ამავე დროს ძმათა შორის სისხლის ღვრის გაჩაღებას, რომლითაც გზა ეხსნება გარეშე ძალას და კონტრ-რევოლიუციას, თფ. თვითმართველობის და ქალაქთა კავშირის მუშა-მოსამსახურეთა ყრილობა უცხადებს მათ (ბოლშევიკებს) პროტესტს, და მოითხოვს მთავრობისაგან დემოკრატიის მტრების უსასტიკესათ დასჯას მარცხნიდან იქნება ის, თუ მარჯვნიდან".

ჯამაგირების მომატების შესახებ აღმასრულებელ კომ. წევრის მოხსენებისა და კრების წევრთაგან მსჯელობის შემდეგ კრება ადგენს ეთხოვოს სატარიფო პალატას, ნაცვლად ყველასათვის 40 პროც., ვინც დიდ ჯამაგირს ღებულობს, მათ მიემატოთ 15 პროც. 23 პროც., ვინც ნაკლებს ღებულობს მათ 40 პროცენტიდან 70 პროც. მდე. X.

პროვინცია

წინამძღვრიანთ კარი (დუშეთის მაზრა). ოცდა თექვსმეტ წელზე მეტია, რაც აქ არსებობს სამეურნეო სკოლა. ამ ხნის განმავლობაში ეს სასწავლებელი შეძლების დაგვარათ ემსახურებოდა მთელ ქართველ ერს. ნახევარზე მეტი ჩვენი მეურნეთა ამ სკოლაში გაწვრთნილა და აღზრდილა. ამ მეტათ საჭირო-სკოლის დამაარსებელი, პატივცემული ილია წინამძღვრიშვილი, მუდამ იმის ცდაში იყო როგორმე გადაეკეთებია იგი საშუალო სამეურნეო სასწავლებლათ. ამისთვის იყო, რომ ბ-ნი ილია არაფერს არ იშურებდა სკოლისათვის. უკანასკნელის სიყვარულმა თავისი თავიც კი დაავიწყა და მთელი თავისი ავლა-დიდება სკოლას უანდერძა. სკოლასვე აჩუქა აგრეთვე თავის კერძო შემოსავლის 70 პროცენტს.

დღეს ამ დიდებულ ადამიანს თავშესაფარი, საკუთარი ქოხიც კი არა აქვს...

ყველაფერი სკოლას შესწირა...

სკოლის საკუთრებას შეადგენს სამოცი დესეტინა მიწა, კარგათ გაშენებული ფერმითა და ხეხილნარით. აქვს საკმაოთ მოზრდილი საკლასო თუ სამასწავლებლო შენობები, რაიც დიდ სიმდიდრეს შეადგენს. ამ შენობებში თავისუფლათ მოთავსდება ორი სასწავლებელი. როგორც მკითხველს მოეხსენება, წელს ეს სკოლა გადაკეთდა საშუალო ტიპის სამეურნეო სასწავლებლათ, რომელსაც ექნება ოთხი სპეციალური კლასი. პირველ სპეციალურ კლასში მიიღებიან უმაღლეს პირველ დაწყებით სკოლებში კურს დამთავრებულები

აი სწორეთ ამაზე მინდა მივაქციო ერობის ყურადღება. ასეთ სასწავლებელს რაიონისთვის კერძოთ არაფერი მნიშვნელობა არ ექნება, რადგანაც მოსწავლე ახალგაზრდობა თითქმის სულ მოსული ელემენტებისაგან შესდგება. ამისათვის საჭირო იყო ამავე სკოლის ერთერთ შენობაში გახსნილიყო უმაღლესი პირველ დაწყებითი სასწავლებელი, რომელიც მომზადებულ შეგირდების კონტიგენტს მისცემდა ამავე სასწავლებელს. უამისოთ ადგილობრივ მცხოვრებლებისათვის ამ სასწავლებელს არაფერი აზრი არ ექნებოდა. ერობის ყურადღება სწორეთ აქეთკენ უნდა იყოს მიქცეული და რაც შეიძლება მალე გახსნას ასეთი სასწავლებელი. ვიმეორებ, ამისათვის ყოველივე მზათაა და ერობას დიდი ხარჯი არ წაუვა. ამას მოითხოვს 23 სოფლისგან შემდგარი რაიონის ინტერესები და ერობამაც მოვალეა ანგარიში გაუწიოს ამას.

მასწავლებელი.

ფოსტა

ქუთაისი. საქართველოს სოც, დემ. მ. პ. თფილისის კომიტეტი სთხოვს ამხ. ვარლამ ცქიტიშვილს, რკინის გზის კავშირის ქუთაისის რაიონის მდივანს, რომ ჩამოვიდეს მოკლე ხანში თფილისში და გამოცხადდეს კომიტეტში იმ განცხადების გამო, რომელიც მან წარადგინა რკინის გზის კონფერენციაზე.

განცხადებანი

ს. შხეფში (ახალ სენაკის მაზრა)
იყიდება მიხეილ ჟურაშვილის
ხუთ ოთახიანი სახლი
და სახიმინდე.
იკითხეთ ახალ-სენაკში ნიკოლოზ ყურაშვილთან. (3084—2—1)

სახელმწიფო მამული „სკრა"
ნამყენი ხეხილი მაღალი და თესლეულობა
მოიკითხეთ კატალოგი
სად. სკრა—გორის მაზრა.
(2906—10—10)

ი ყ ი დ ე ბ ა
წინდების საქსოვი მანქანები
გრძელი და რგვალი საუკეთესო სისტე
მისა. მალაკანის ქ. № 44
(3040 2—2)

ექიმი ქალი ე. ხ. ბებურიშვილი.
ღებულობს ავადმყოფებს შინაგან, ქალთა და ბებიობის ნაწილებში დილით 10—12 საათამდე საღამოს 5—7 საათამდე. მისამართი: იზმაილოვის ქუჩ. № 28. (თ. 3065).

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა მ. ბ. **მეხრაბიანცი**
შინაგანი ავადმყოფობა, პლექსა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში; ხასინჯვა და წამლობა Xს სხივებით, დიდი სალენოიდი და არსევალი, ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის, ღარიბებს უფასოთ ყოველ დღე დილის 8—12 საათამდე და საღამოს 6—9 ს. ბეჟუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

ექიმი **ნიკოლოზ მახვილაძე**
იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11 (ხეშელის აფთიაქის ახლოს). (2795—თ.)

ექიმი ნ. დ. **ტურაბაშვილი**
იღებს ავადმყოფებს შინაგან, საბებიო და ქალთა სნეულებით ყოველ დღე დილის 11—1 და საღ. 4—5, გარდა ოთხშაბათის და შაბათისა, რომელ დღეებშიაც იღებს მხოლოდ დილის 10—12. (თ —3023)

ექიმი დ. მ. **ჯავახიშვილი.**
იღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ დილით 8—9 ს-დის და საღამოთი 4—6 ს-დის. მიხეილის პროსპ. № 64. (საავათმყოფოს ახლოს) ტელეფ. 14—60. (თ.—2662.)

ექიმი **არუთინოვი.**
დაიწყო ავათმყოფების მიღება. დილის 9 ნახ.—11 ნახ. საათ. საღამოს 5—6 ნახ საათ. ვენერიული სნეულებათა: სიფილისი, ტრიპერი და მათი შედეგები „606" და „914" შეშხაპუნება. მიხეილის პროსპ. № 80 ბინა 3. (თ. 2816)

ექიმი ივ. **ბოკერია**
იღებს ქირურგიულ, ქალთა სნეულების და საკუშერო ავადმყოფებს ყოველ დღე ვაგზლის სამკურნალოში 12—1 ს. ვაგზლის ქუჩაზე, შიხინოვის აფთიაქის გვერდით, სახლი 8, ტელეფონი 6—95. (თ. 2744)

სამკურნალო
(ავკ. წით. ჯვ. საოლქო საქმ [illegible]
[illegible]
ავადმყოფ. მიღება იქმ [illegible]
[illegible] ყოველ დღე 9—2 [illegible]
გ. ხაბაძე 9—12 შინ. ვენერ. სიფილ
ფ. ფეხნერი 10—11, საბავშ. შინაგ.
ი. ტეროვაკიმოვი 12—1. ვენერ. სიფი
ი. ბოკერია 10—11. ხირურგ. ქალ
სნეულ. და საბებიო.
ი. ტერგრიგორიანცი 1—2. შინაგ. საბ
ტ. განუუმოვი 11—12. ქალთა საბ
„606" და „914" ყოველ დღე.
რჩევა 10 მ. ოპერაციები მორიგებით.
სამკურნალოს დირექტორი გ. გ. ხაბა
((2937—თ.)

ვაგზლის კერძო სამკუ ნალო
(ვაგზლის ქ. შიხინოვის აფთიაქის გვე დით, ტელ. 6—95)
ექ. არგუთინსკი შინაგ. და საბ ყოველ დღე 10—11 ნახ.
ექ. ბოკერია ქირურგ. ქალთა სნეუ და საკუშერო ყოველ დღე 10—11.
ექ. ქალი იოსელიანი ქალთა სნეუ საბავ. ხუთშ. და შაბ. 11—12.
ექ. კლდიაშვილი შინაგ. და საბ ყოველ დღე 1—3.
ექ. ტუშურიანცი შინაგანი სნ. ყოვე დღე 11 ნახ—1.
რჩევა 10 მ., კონსულტაცია 50 მ ოპერაცია შეთანხმებით. „606" და „914
(2930—თ.)

ექიმი კ. ტყეშელაშვილი
ღებულობს ავადმყოფებს ვენერიულ, ს ფილ. (914 და 606) კანი, მიხაილოვ (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩებ კუთხე ფოსტის ახლოს. საღამოს 5— საათამდე. (2925)

ექიმი ა. **ლიტინსკიონი**
შინაგანი ავათმყოფობანი. ყოველმხრ ვი გამოკვლევა და ფიზიკური მეთო ებით ჰკურნავს გულის, ფილტვების, კუ და ჰაჰების ავათმყოფობათა. რენტგ ნის სხივები. კრილოვის ქ. სახლი № გონიელოვისა, ბინა № 3. მიღება დ ლის 11—12 საათ. და საღამოს 4—8 ს ათამდე. (თ. 2642)

ექიმი ბ. ი. მირიანაშვილი.
შინაგანი სნეულებანი. მიღება საღამ 5—7 საათამდე, მისამართი ანდრეევ ქუჩა № 74, ბინა № 1 ვაგზლის აფთ აქის ახლო. (2849—თ.)

ქალ. ხამტრედიაში
ექიმი ი. ი. პეიშვილი იღებს განსაკუ რებით სიფილისით (წამლ. „606" „914") ვენერიულ (ტრიპერი და მა შედეგები) და შინაგან სნეულებიან ავა მყოფთ. მისამართი: ილიას ქუჩა, ტ ლეფონი 35. (2950—თ.)

ოზურგეთში
ექიმი ს. გ. **ახაშიძე**
მიიღებს ავათმყოფებს შინაგან სნე ფილტვების, გულის, კუჭის და წელ ბის. პლექის ექიმობა „ტუბერკულინი და „ფოსფაციდიდ", ვენერიული: სიფ ლისი და მისი შედეგები—914" „606" შეშხაპუნებით. კ. სიმაიშვილ სახლში.

ექიმი მ. ბ. **შაფრანი**
სპეციალურად სიფილისი და მისი შ დეგები (შეშხაპუნება „606" და „914 ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ო განოების სნეულებანი. ავადმყოფებ მიღება ყოველ დღე დილის 8—11 საღამოს 5—8 საათამდე. კვი რაობი მხოლოდ დილით. მისამართი: ორ ქუჩა № 33.

ექიმი დ. ა. **ხარაძე.**
იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებ ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 6 საათამდე. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 8 ავჭალის აუდიტორიის ახლო.

ექიმი ქალი ს. ა. **ზოგლო-ხახაშვი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივე სიტეტისა და ედინბურგის მედიკურ ქ რურგიულ კოლლეჯისა. იღებს ყოვე დღე შინაგან ქალის და ვენერიულ ავა მყოფთ და იძლევა საბებიო დარიგებ სიფილისის წამლობა (606—914) დილ 10—12 ს. და საღამოს 5-6 ს. პლე ნოვის პრ. № 119, ტელეფონი № 9—

ექიმი **თოხებ რაჟდენის ძე ცი**
იღებს ვენერიულ სნეულ. ავადმყო საღამოს 5—7 საათ. ყოველდღე. პლ ხანოვის პრ. № 121, ბინა 4, ტე ფონი 11—06.

ძველი რეზინი (შინები და კამერები)
იყიდება ქალაქთა კავშირის სახელოსნოებში
(ოლღის ქ. № 29) ნახვა შეიძლება დილის 12—1 საათ. ყვირა ფქვებას გა განცხადება უნდა შეიტანონ ქალაქთა კავშირის ტექნიკურ განყოფილებაში
(ნ. 2—2)

საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოების
მთავარ სამმართველო
ამით აცხადებს, რომ სურამის ფსიქიატრიულ ახალშენში შეიძლება მიღებ იქნას დაწესებულ ფასით ხელით ავათმყოფი (მამაკაცი). დაწვრილებით ბების გაგება შეიძლება წითელი ჯვრის კანცელარიაში (26 მაისის ქუჩა სა ბიო ინსტიტუტის შენობაში) და ქ. სურამში ფსიქიატრიულ ახალშენ უფროს ექიმთან. (2901—14—9)

მსწრაფლ მბეჭდავი სტამბა [illegible] № 1